# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 6 აგვისტო 2005 №178 (2501) ფასი 50 თეთრი


## ცეკვა ქართული

მეხუთე მატჩი და მეხუთე გამარჯვება — ამჯერად დაძაბულ ბრძოლაში მოპოვებული. ქართველმა კადეტებმა ბულგარეთში მიმდინარე ევროსაკვალიფიკაციო ეტაპზე ნუხელ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს და ნახევარფინალის საგზური უკვე ჯიბეში აქვთ.

გელა წულაძის ბიჭები ესტონელებს მთელი თამაში ეომნენ. ძირითადად ლიდერობდნენ კიდეც და გადამწყვეტი მეოთხედის წინ 7 ქულასაც იგებდნენ, მაგრამ ბალტიისპირელებმა დიდი შეუპოვრობა გამოიჩინეს და ანგარიში მალე გაათანაბრეს. 66:66 იყო, როცა საფინალო სირენამდე ოთხიოდ წუთი რჩებოდა და ქართველთა აფეთქებაც ამ მომენტს დაემთხვა. ალეკო ძიძიგურმა მიჯრით 6 საჯარიმო მიითვალა, რასაც მთელი თამაშის განმავლობაში გამორჩეულმა ლევან ცეკვავამ საჭირო სამქულიანიც დაურთო და ესტონელთა საქმე აქ მოთავდა. ქართველები ათი ქულით დაწინაურდნენ და თამაში ჩვენებურთა ასეთი უპირატესობით დასრულდა — 82:72.

ქართველები დღეს ბოსნიას ხვდებიან და და რომც წააგონ, ნახევარფინალში თამაში მაინც გარანტირებული აქვთ. საქმე ისლაა, პლეი ოფში მასპინძელ ბულგარეთს შეხვდებიან თუ გერმანელებს...



**გამოიარეთ ორშაბათს**

**ნოდარ ახალკაცი თბილისში დაბრუნდა**

4

# თამაში და ჩივილი

## ჯახი გლდანსა და დიდუბეში, ჯოხი ფიფასა და უეფაში

საქართველოს ჩემპიონატი ჯერ არ გახურებულა, დღეს-ხვალ მეორე ტურის მატჩებია — ზოგი მეტად საინტერესო, ზოგი ნაკლებად, მაგრამ ამ ეტაპზე რვავე თამაში ყურადსაღებია: ზოგი გუნდის რეალური ძალა-მარიფათი ხომ ჯერ უცნობია. და მაინც, გამოსარჩევი ჯახი იქნება გლდანში, სადაც უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „ამერი" მასსავით ამბიციურ „ზესტაფონს" დაუხვდება.

დანიამოვლილი „დინამოსა" და ახალგაზრდული „თბილისის" შეხლასაც ნუ დაივიწყებთ.

ამასობაში კი სკანდალი მწიფდება: „თბილისი" „ზესტაფონს" ფეხბურთელების მიტაცებას ედავება, ჩვენი ბიჭების — გიორგი ხიდეშელის, ალექსანდრე ბენაშვილისა და დავით ჯანელიძის მითვისებისთვის ფიფა-უეფაში გიჩივლებთო. თბილისელებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაშიც შეუტანიათ საჩივარი, საიდანაც პასუხი ჯერ არ მიუღიათ...



ბადრი კეთილაძის ფოტო

# დღეიდან მსოფლიო ახტება და გაიქცევა




ჰელსინკის განახლებულ ოლიმპიურ სტადიონზე დიდი მძლეოსნობა გახურდება

AFP ფოტოქრონიკა

# რატომ მიჰყავს ზესტაფონს ჩვენი ფეხბურთელები?!

**საფეხბურთო** კლუბ „თბილისს" პრეტენზიები აქვს „ზესტაფონთან" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან — სწორედ ამ თემას მიეძღვნა გუშინდელი პრესკონფერენცია, „თბილისის" წარმომადგენლებმა რომ გამართეს.

ივლისის დასაწყისში იტალიაში, ახალგაზრდების ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ჩემპიონობა მოიპოვა და ამ გუნდში „თბილისის" და საფეხბურთო სკოლა „ოლიმპის" ფეხბურთელებიც თამაშობდნენ, „თბილისი" და „ოლიმპი" კი ერთი სისტემაა, ერთი პატრონი ჰყავთ.

იტალიაში გამარჯვებულ 18-წლამდელთა ნაკრებში მოთამაშე სამი თბილისელი ახლა თბილისელი აღარ არის — გიორგი ხიდეშელმა, დავით ჯანელიძემ და ალექსანდრე ბენაშვილმა „ზესტაფონს" მიაშურეს — გვამცნობს „თბილისი". ხიდეშელმა მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში ითამაშა კიდეც „ზესტაფონში" სწორედ „თბილისის" წინააღმდეგ.

***გოჩა თამაზაშვილი, „თბილისის" პრეზიდენტი:*** „როცა იტალიიდან დაბრუნებულ გიორგი ხიდეშელს ვარჯიშზე მოსვლა მოვთხოვეთ, გვითხრა, ამიერიდან ჩემს საკითხს გაიოზ დარსაძე წყვეტსო. აღნიშნულთან დაკავშირებით 15 ივლისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს წერილობით მივმართეთ, მაგრამ ჯერ არანაირი პასუხი არ მიგვიღია. ამასობაში ხიდეშელი „ზესტაფონში" გადავიდა და ჩვენ წინააღმდეგაც ითამაშა. ასეთი რამ დაუშვებელია და არ უნდა ხდებოდეს. ფედერაციაში დღესაც ვიყავი





გაიოზ დარსაძეს გოჩა თამაზაშვილი ფეხბურთელებთან ფარულ გარიგებას აბრალებს

## თბილისი ფედერაციას ფიფა-უეფათი ემუქრება

და მითხრეს, ჯერ სრულად დაკომპლექტებულები არ ვართ, ფედერაციაში მხოლოდ პრეზიდენტის და გენმდივნის ინსტიტუტები ფუნქციონირებსო. ახლა ფედერაციის პრეზიდენტთან ვაპირებთ შეხვედრას და თუ ვერ მოვილაპარაკებთ, საქმეს ფიფა-უეფაში გადავიტანთ — ჯანელიძეს, ბენაშვილს და ხიდეშელს „თბილისთან" კონტრაქტები აკავშირებთ".

შეგახსენებთ, გაიოზ დარსაძე ფედერაციაში მწვრთნელთა მომზადებას კურირებს და ნაკრები გუნდების ტექნიკური დირექტორიცაა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ვითარებას ისიც ამძაფრებს, რომ ჯანელიძე „თბილისში" საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკიდან" გადავიდა და „თბილისმაც" „ოლიმპიკის" წინაშე გარკვეული ვალდებულებები აიღო, მაგრამ ამ დროის ხიდეშელი „ზესტაფონში" გადავიდა.

...ამ ცოტა ხნის წინ პრესაში „ზესტაფონის" პრეს-რელიზი გამოქვეყნდა, სადაც ჩვენ მწვრთნელების „მეკობრეობაში" გვადანაშაულებენ. აგერ არის ყველა ის მწვრთნელი და ჰკითხეთ, თუ როგორ მოვიდნენ ისინი ჩვენთან.

...„ზესტაფონი" იმაშიც გვდებს ბრალს, „თბილისი" ფეხბურთელებს დაბალი დონის უცხოურ კლუბებში უშვებსო. გვინდოდა, გოგიტა გოგუა „შალკეში" წაგვეყვანა გასასინჯად, მაგრამ რუსეთის პირველ ლიგაში წასვლა თავად ფეხბურთელმა მოისურვა და არა ჩვენ.

...ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა ამბობს, ყველაფერი გამჭვირვალე იქნებაო და გვითხრას, რა თანხად აქირავებს ნაკრების ბაზას „ზესტაფონისთვის".

...წინა სეზონის თასის ფინალში ზესტაფონელი ზურაბ ძამსაშვილი გააძევეს, მაგრამ „ზესტაფონის" მომდევნო შეხვედრაში, ჩემპიონატის მატჩში ძამსაშვილმა მაინც ითამაშა. როგორც შევიტყვეთ, პროფლიგის საშეჯიბრო განყოფილების ხელმძღვანელ ნოდარ კაკულიაზე ზეწოლა იყო. თასის ფინალამდე კი „ზესტაფონმა" ჩემპიონატის მატჩში ფოთის „კოლხეთთან" ათი კაცით ითამაშა და არც ამ ფაქტზე ყოფილა რამე რეაგირება ფედერაციიდან.

...„ზესტაფონის" წარმომადგენლებს ტელედებატებში ვიწვევთ.

ერთი სიტყვით, კონფლიქტი სახეზეა. ვინ ვის? საკითხავი, აი, ეს არის.

**დავით თავართქილაძე**

### გერმანია

ბუნდესლიგა. I ტური
ბაიერნი 3:0 გლადბახი
სამხრეთ რეგიონალლიგა
I ტური
ელვერსბერგი 3:0 კარლსრუე (მ)
ჰოფენჰაიმი 2:1 კაიზერი (მ)
ფულენდორფი 1:1 ვეენი
დარმშტადი 2:1 ალენი
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
III ტური
ფორტუნა 2:4 ესენი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. II ტური
ბასტია 1:1 კრეტეი
გრენობლი 1:0 რეიმსი
გენიონი 2:0 ვალანსიენი
ისტრი 0:0 გენგამი
ლეავრი 0:3 შატორუ
მონპელიე 1:1 ბრესტი
სედანი 2:1 სეტი

### ჰოლანდია

სუპერთასი
პსვ 1:2 აიაქსი

### ირლანდია

პრემიერლიგა. XX ტური
შემროკი 0:0 სტ. პატრიკსი
კორკი 1:1 უოტერფორდი
დუბლინი 1:1 ჰერასი
დერი 2:2 ბრეი

### ავსტრია

I დივიზიონი. V ტური
კაფენბერგი 1:1 აუსტრია (ლ)
კერნტენი 4:0 ლინცერი
კუფშტაინი 3:3 გრატკორნი
შვანენშტადტი 0:2 ავსტრია (მ)
ალტახი 2:0 ლეობენი

### თურქეთი

სუპერლიგა. I ტური
გენჩლერი 0:0 ფენერბაჰჩე

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა. IV ტური
ვოლენი 1:1 ბოლმი

### ჩეხეთი

გამბინუსლიგა. I ტური
სლავია 1:1 იჰლავა

### ბელგია

იუპერლიგა
I ტური
ბრიუგე 2:0 მუსკრონი

### პოლონეთი

I ლიგა. III ტური
ბელხატოვი 0:3 ლეგია
გროცლინი 2:4 ვისლა

### სერბეთი

პირველი ლიგა
პირველი ტური
ზეტა 1:0 ვოზლოვაცი

### ამხანაგური მატჩები

სევილია (ესპანეთი) 1:1 ბარსელონა (ესპანეთი)
უტრეხტი (ჰოლანდია) 1:2 ასტონ ვილა (ინგლისი)

## თვალ თვალი



*ახალს ვერაფერს გეუბნებით: თბილისის „დინამომ" შარშანდელი შედეგი ვერ გაიმეორა და ევროსეზონი მოსალოდნელზე ადრე დაასრულა. ამ ამბავს ბეჭედი 3 აგვისტოს „ბრონდბიუსთან" კოპენჰაგენურ მატჩში დაესვა — „დინამომ" 1:3 წააგო.*

*ამ ხალხისთვის კი, პირი სტადიონის გასასვლელისკენ რომ უქნიათ, ეს დუელი თბილისური მატჩის 83-ე წუთზე დასრულდა, როცა დანიელებმა მეორე გოლი გაიტანეს.*

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

## 2 ტური ანონსი



[illegible] ფოტო

ტურის მთავარი მატჩთაგანი „დინამო" — „თბილისია"

# შემოვლა მეორე

## კვირის ორი შაბათის ექვსს ტონის

**აგვისტო** ხეირიანად არ დამდგარა, ქართული კლუბები კი უკვე ჩამოშორდნენ ევროტურნირებს. რა ჩვენი საქმეა ევროპა, აგერ, ეროვნული ჩემპიონატი გვიმყოფა ნეტავ კარგად და როგორმე მარტო ამაზე გადავიველით...

პირველი ტური მწირგოლიანობით და უსენსაციოდ ჩამთავრდა, ამ შაბათ-კვირას კი მეორე შემოვლის ჯერია. ჰოდა, შემოვუაროთ...

„ტორპედო" — „ლოკომოტივი" ხმაურიანად კი ისმის, მაგრამ ვერც ერთია ყინჩად და ვერც მეორე. ქუთაისში შარშანდლის მერე 180 გრადუსით შემობრუნდა ვითარება: გაჩნდა ფული, მაგრამ არ ჩანან ფეხბურთელები — შარშან კი პირიქით იყო. ქუთაისიდან ქულის წამოღება ლობიოს ჭამასავით არაა, მაგრამ მაინც „ლოკომოტივი" უნდა ჩავთვალოთ ფავორიტად. ერთიცაა, ნოდარ აკობიას გუნდი ბანანცურმა კოშმარმა ისე დაალასლასა, პირველ ტურში „სიონთან" თავის თავს არ ჰგავდა.

ბოლნისის „თამაზ სტეფანია" ბოლომდე თუ არ შეივსება, ბევრიც არ დააკლდება. იქაურებს „სიონი" ძალიან უყვართ, შარშან დაბეჩავებულ გუნდსაც კი მხურვალედ ქომაგობდნენ და წარმოიდგინეთ, წლეულს რა იქნება... ხვიჩა ქასრაშვილის ბიჭებმა ლამის მოგების ტოლფასი ქულით დაიწყეს ჩემპიონატი და ლოგიკას თუ გავყვებით, დღეს სამი ქულა უნდა გაიფორმონ. ბოლნისელები ჯაბა დვალისა და კოკა მიკუჩაძის გოლების იმედად იქნებიან, თუმცა „დილას" აღარ ვეკითხებით? გორელებიც ყინჩად გრძნობენ თავს და წაგებაზე სულაც არ ფიქრობენ.

საქართველოს ძველ დედაქალაქში კი დიდ ყიჟინას არავინ ელის — აბა, ქომაგებით განებივრებული „ვიტ ჯორჯია" სად გინახავთ?! ისე, არა გვგონია, ამ ფაქტორმა ვიტელებს „სოხუმთან" მაინცდამაინც ხელი შეუშალოს. ნესტორ მუმლაძის გუნდი მოგებაზე დამშეულია, სოხუმელთა ნაპერწკალი კი პირველ ტურში ვერანაირად ვერ დავინახეთ. ერთიცაა, გოჩა ჟორჟოლიანს მცხეთაში დაცვის პრობლემები შედარებით მოეხსნება — ირანიდან მამუკა წერეთლის სატრანსფერო ფურცელი ჩამოვიდა, გიგა ჟვანიამ და თენგიზ უგრეხელიძემ ტრავმები მოიშუშეს, ხოლო ახლახან გუნდს ყოფილი ამერელი ზვიად ჯელაძეც შეემატა.

მატებაა ფინანსურად წელგაშლილ „ბათუმშიც" — ფორვარდი მიხეილ კაკალაძე, ნახევარმცველი ლევან შავგულიძე და მცველი კახა სიდამონიძე. რა გასაკვირია, სამქულიანი სტარტის შემდეგ ზღვისპირელები თბილისის „სპარტაკთანაც" მოსაგებად ჩამოვიდნენ. მასპინძლის ფაქტორი გვაეჭვებს, თორემ ამირან გოგიტიძის გუნდი თბილისელებზე გაცილებით ძლიერია...

ტრანსფერებში გაწაფული „ბორჯომი" ავლაბარში კბილებალესილი დაუხვდება ფოთის „კოლხეთს". სოსო ფრუიძის გუნდს წინა ტურში ბათუმიდან ხელცარიელი დაბრუნება გულზე ლოდად აწევს და უსიკვდილოდ მოგებას აპირებს. ეგაა, ქართლელებს შეუთამაშებლობა აწუხებთ და აკი ფრუიძეც შიშობდა, პირველ ტურებში გაგვიჭირდებაო.

უმაღლეს ლიგაში გამარჯვებით დაბრუნებული „ცხინვალი" კი თელავის „კახეთის" წაქცევას შეეცდება. ორ ტურში ექვსი ქულა სამაჩაბლოს კლუბს „დახატავს", მაგრამ კახური დაყინებაც ხომ იციით...

ტურის მთავარი მატჩები კი კვირასაა: დანიამოვლილ „დინამოს" სიმპათიური, მაგრამ 17-18 წლის გამოუცდელი ჭაბუკებით მოთამაშე „თბილისი" გადაელობება. გიორგი დევდარიანის გაწვრთნილებმა „ზესტაფონთან" არწასაგები თამაში დათმეს და ეჭვი გვაქვს, არც დინამოელებს დაუხრიან თავს. სხვა საქმეა, მარიფათი თუ ეყოფათ და ლიდერ გოგი ფიფიას მხარს თუ აუწყობენ.

კვირასვე ისტორიული დღეა „ამერის" კოხტამინდვრიანი სტადიონისთვის, რომელიც პირველად უმასპინძლებს საუმაღლესლიგო მატჩს და მატჩიც მატჩად ღირს — გიორგი ჩიხრაძის გუნდი „ზესტაფონს" გაუსინჯავს კბილს. ორივე კლუბი ევროპისკენ იმზირება, ორივემ გასვლითი 1:0-ით დაიწყო მე-17 ეროვნული და ნაღდად კაი ჯახი უნდა გამოვიდეს — აქეთ სულიკო დავითაშვილი, იქით ზურაბ იონანიძე...

ვნახოთ...

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ცხინვალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ამერი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბათუმი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ზესტაფონი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| კოლხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| დილა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლოკომოტივი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ტორპედო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| თბილისი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბორჯომი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სპარტაკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| კახეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| სოხუმი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

თბილისი. 6 აგვისტო. 17.30 საათი. შევარდენი

### სპარტაკი — ბათუმი

**მსაჯები:** ლ. სილაგავა; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ხ. გაგნიძე (გორი); **ინსპექტორი:** ს. ბარქაია

თბილისი. 6 აგვისტო. 17.30 საათი. ოლიმპი

### ბორჯომი — კოლხეთი

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); გ. ცირდავა (გულრიფში), ზ. ხუციშვილი (დმანისი); გ. ასკაროღლი (ქარელი); **ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

მცხეთა. 6 აგვისტო. 17.30 საათი. არმაზი

### ვიტ ჯორჯია — სოხუმი

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ა. ნონიკაშვილი; გ. ვადაჭკორია (ყველა თბილისი); **ინსპექტორი:** რ. ტალიაშვილი

გორი. 6 აგვისტო. 17.30 საათი. ქართლი

### ცხინვალი — კახეთი

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (სამივე ქუთაისი); **ინსპექტორი:** ე. სილაგავა

ქუთაისი. 6 აგვისტო. 17.30 საათი. ტორპედო

### ტორპედო — ლოკომოტივი

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე (თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); **ინსპექტორი:** ს. კვარაცხელია

ბოლნისი. 6 აგვისტო. 17.30 საათი. თამაზ სტეფანია

### სიონი — დილა

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი); **ინსპექტორი:** ა. შალამბერიძე

თბილისი. 7 აგვისტო. 17.30 საათი. ამერი

### ამერი — ზესტაფონი

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

თბილისი. 7 აგვისტო. 17.30 საათი. ეროვნული

### დინამო — თბილისი

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე; დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი); **ინსპექტორი:** ა. მილჩენკო


ფეხბურთი

სტადიონი ამერი

უმაღლესი ლიგა

7 აგვისტო

მეორე ტური

ამერი — ზესტაფონი

თბილისი ზესტაფონი

დასაწყისი 17:30 საათზე.

დასწრება უფასოა

მის: თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულას გადასახვევთან)

მატჩის მსვლელობა ონლაინ-რეჟიმში საიტზე: www. fcameri.ge



# გამოიარეთ ორშაბათს

**გუშინ** საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ პირველი ლიგის კენჭისყრა მოაწყო, ანუ შედგა ჩემპიონატის კალენდარი.

გაირკვა, რომ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში წლეულს 18 გუნდი ითამაშებს, დასაზუსტებელი მხოლოდ ტურების თარიღებია. მატჩების დაწყების დროდ კი აგვისტოში 17 საათი დათქვეს.

აქვე პირველ ლიგის პირველი ორი ტურის კალენდარს შემოგთავაზებთ, სრულ ვარიანტს კი ცოტა ხანში მოგაწვდითო, დაგვპირდნენ ფედერაციაში.

**პირველი ტური:**

მესხეთი (ახალციხე) — მეშაქრე (აგარა)
მეშახტე (ტყიბული) — ზესტაფონი 2 (ზესტაფონი)
ჩიხურა (საჩხერე) — ლიახვი (თამარაშენი)
ამერი 2 (თბილისი) — ზუგდიდი (ზუგდიდი)
ლოკომოტივი 2 (თბილისი) — დინამო 2 (თბილისი)
მალაროელი (ჭიათურა) — საგარეჯო (საგარეჯო)
გურია (ლანჩხუთი) — თბილისი 2 (თბილისი)
რუსთავი (რუსთავი) — ვიტ ჯორჯია 2 (მცხეთა)
მერანი (თბილისი) — გაგრა (გაგრა)

**მეორე ტური:**

მეშაქრე — გაგრა
ვიტ ჯორჯია 2 — მერანი
თბილისი 2 — რუსთავი
საგარეჯო — გურია
დინამო 2 — მალაროელი
ზუგდიდი — ლოკომოტივი 2
ლიახვი — ამერი 2
ზესტაფონი 2 — ჩიხურა
მესხეთი — მეშახტე

გუშინვე შვეიცარია-გერმანიიდან დაბრუნდა ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი. გაირკვა, რომ ორშაბათს ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართება, რომელსაც, ბუნებრივია, პრესკონფერენციაც მოჰყვება და პრეზიდენტიც ჟურნალისტებს მაშინ გაესაუბრება.

ჩვენი ინფორმაციით, აღმასკომი ამ საკითხებს განიხილავს: საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის მწვრთნელის დანიშვნა, ყაზახეთთან მატჩისთვის ფეხბურთელების გამოძახება და პირველი ლიგის კალენდრის დამტკიცება.

**გიორგი გუგაძიძე**

# მარჯვნივ მჟავანაძე, მარცხნივ სახვაძე?

**27 წლის** არჩილ სახვაძე წინა სეზონში ირანულ „საბა ბატერში" თამაშობდა, მაგრამ სპარსეთში დარჩენა აღარ ისურვა და ახლა უგუნდოდაა. როგორც სახვაძემ გვითხრა, არც საქართველოში თამაში სურს და კვლავ უცხოეთის რომელიმე გუნდში გადავა.

შევიტყვეთ, რომ ყველაზე რეალური წინადადება სახვაძეს მახაჩყალის „ანჟიდან" აქვს, სადაც კახა მჟავანაძე თამაშობს. სახვაძის „ანჟიში" წასვლა-არწასვლა რამდენიმე დღეში გადაწყდება.

სახვაძე თავის დროზე თბილისის „დინამოს" მარცხენაფლანგელი და ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი იყო, მას ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია.

**ლუკა თალაკვაძე**

# კაპიტანი გემს არ ტოვებს

## ალექსანდრე იაშვილს ჟირესის სწამს და უმწვრთნელობა აკვირვებს

დღეს გერმანიის მეორე ბუნდესლიგა იწყება, *ალექსანდრე იაშვილისა* და ოთარ ხიზანეიშვილის „ფრაიბურგს" კი ერთადერთი მიზანი აქვს — ბუნდესლიგაში დაბრუნება. ყველა ფიქრობდა, იაშვილი კლუბს გამოიცვლიდა, მაგრამ...

ალბათ, „ფრაიბურგისადმი" ერთგულებამაც განაპირობა, რომ იგი გუნდის კაპიტნად აირჩიეს...

**— 17 აგვისტოს ყაზახეთთან მატჩია და ნაკრებს მწვრთნელი არ ჰყავს. ალენ ჟირესის მოხსნას რა კომენტარს გაუკეთებდი?**

— საწყენია, ჟირესი რომ გაუშვეს, მაგრამ ფეხბურთში ასეა — ცუდი შედეგები უფრო მწვრთნელს ბრალდება. არადა, წარუმატებლობა ჩვენი, ფეხბურთელების ბრალიცაა. რა უნდა ვთქვა, შესარჩევი ციკლი კარგად დავიწყეთ და საბერძნეთთან ორ წუთში გაშვებულმა ორმა გოლმა ბოლო მოგვიღო. ჟირესი კარგად მუშაობდა ნაკრებში და დღეს-ხვალ თუ არა, მერე თავის ხელს დაგვატყობდა.

**— არაა გამორიცხული, ნაკრებში ქართველი მწვრთნელი დანიშნონ...**

— ვერ ვიტყვი, რომ საქართველოში კარგი მწვრთნელები არ არიან, თუმცა მაინც მგონია, რომ უფრო ძლიერი სპეციალისტი გვჭირდება. ახლა მუნდიალზე გასვლის შანსი დაკარგული კია, მაგრამ მომდევნო ციკლისთვის საფუძველი ხომ უნდა ჩაიყაროს?!

**— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა თქვა, ნაკრების შემადგენლობის დადგენას მწვრთნელი არ სჭირდებაო. ამაზე რას იტყვი?**

— აზრი ვერ გავიგე. შესაძლოა, ახალკაცი სხვა რამეს გულისხმობდა. აბა, მწვრთნელი სხვას რას სჭირდება?



**— „ფრაიბურგზე" გადავიდეთ. ამ სეზონში გუნდში დარჩენა საბოლოოდ გადაწყვიტე?**

— ჩემი მხრიდან „ფრაიბურგის" დატოვება უმადურობა გამოვა, მორალურად გამიჭირდება — კაპიტნად ამირჩიეს და ახლა წასვლა ცოტა უხერხულია. ისე, თუ კარგი წინადადება მექნება, დავფიქრდები.

**— თქვენი მეკარე რიხარდ გოლცი 37 წლისაა და, რაც გვახსოვს, სულ „ფრაიბურგშია". ამ დროს შენი კაპიტნად დანიშვნა ცოტა გაგვიკვირდა...**

— აქ ფეხბურთელები ირჩევენ კაპიტანს. შვიდი წელია, „ფრაიში" ვარ და გარკვეული ავტორიტეტი მოვიპოვე, უკვე გუნდის ლიდერადაც ვგრძნობ თავს. სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიხარდა — გერმანულ კლუბში კაპიტნობა არცთუ პატარა საქმეა.

**— „ფრაიბურგის" მიზანი ბუნდესლიგაში დაბრუნებაა. არადა, ცქიტიშვილისა და ბაირამოვიჩის წასვლამ ალბათ დაგასუსტათ...**

— ასე ვერ ვიტყვი. „ფრაიში" რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი თამაშობდა, რომლებსაც გუნდში გაჩერება აღარ უნდოდათ და სიტუაციას ურევდნენ. ახლა რამდენიმე პერსპექტიული ბიჭი დავიმატეთ და გუნდშიც უკეთესი ატმოსფეროა, მწვრთნელი ფოლკერ ფინკეც კმაყოფილია. ეგაა, გულშემატკივრები არიან პესიმისტურად.

**— რატომ, ბუნდესლიგიდან გავარდნა ვერ გაპატიეს?**

— შიშობენ, ახლაც შარშანდელი არ გამეორდესო. ვეცდებით, აზრი ხვალვე შევაცვლევინოთ: შინ „ბურგჰაუზენს" ვიღებთ და კარგი დასაწყისი გვჭირდება.

**— ბუნდესლიგაში გადასვლისთვის „ფრაიბურგის" მთავარი. კონკურენტები ვინ არიან?**

— პირველ რიგში, ალბათ, „ბოხუმი", „ჰანზა" და „ალემანია".

**— ოთარ ხიზანეიშვილის მდგომარეობა როგორია?**

— უკეთესად კი არის, მაგრამ ტრავმა კარგა ხანს ვერ მისცემს თამაშის საშუალებას. ალბათ, ნაახალწლევს შეძლებს მინდორზე გასვლას.

**ილია ნანობაშვილი**

# ამირან გოგიტიძე: შეგვარგონ მოგება

## კაკალაძე და შავგულიძე ბათუმელები არიან

*ბათუმში რომ ფეხბურთი გაცოცხლდა და გუნდს შარშანდელივით ფეხზე ცხვარი არა აქვს გამობმული, ნამდვილად გასახარი ამბავია. ჩვენთვის უცნობმა ინგლისელმა ინვესტორმა, თუ ამ ინვესტორს ამოფარებულმა მავანმა აქაურმა კლუბი ამოასუნთქა და აი, შედეგიც: „ბათუმმა" პირველ ტურში საკმაოდ მოძლიერებულ „ბორჯომს" მოუგო და ტემპის დაგდებას არ აპირებს. გუნდის თავკაცი ამირან გოგიტიძეც იმედიანადაა...*



— „ბორჯომს" დამსახურებულად მოვუგეთ და არა მსაჯის დახმარებით. პაატა დოგრაშვილს ისეთი შეცდომა არ დაუშვია, თამაშის შედეგზე გავლენა მოეხდინა. ამიტომაც მიკვირს, რატომ ატყდა ასეთი ამბავი.

**— ამბობენ, დოგრაშვილმა „ბათუმის" კარში ნაღდი პენალტი არ დანიშნაო...**

— ეგ არ ვიცი, შორს ვიდექი და მომენტი ვერ დავინახე. ისე კი, პირველ ტაიმში მსაჯს „ბორჯომის" კარშიც შეეძლო პენალტის დანიშვნა. ასევე ვერ მივხვდი, ზაზა ზირაქიშვილის გოლში რა დარღვევა დაინახეს. თუმცა, ეს უკვე ჩავლილი ამბავია და მეტად ნუღარ შევეხებით.

**— მაშინ გუნდზე ვთქვათ. ახალი ფეხბურთელები თუ გყავთ?**

— ახლახან მიხეილ კაკალაძე და ლევან შავგულიძე დავიმატეთ. კიდევ ორი ფეხბურთელი გვინდა, თუმცა მათ გვარებს ვერ ვიტყვი, რადგან ჯერ გადაწყვეტილი არაფერია.

**— ბორჯომელებთან მოგების შემდეგ, ალბათ, მადა მოგეცათ...**

— მიზნებზე ლაპარაკი ჯერ ზედაპირულია. ჩვენ ყველა თამაშს სერიოზულად მივუდგებით და ვნახოთ, რა გამოვა. ფინანსურად არანაირი პრობლემა არ გვაქვს, კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელებს არაფერს აკლებს და პრემიებიც სოლიდურია, მაგრამ გუნდი ოპტიმალური ფორმისგან ჯერ მაინც შორსაა. შეთამაშებას დრო სჭირდება და მიხარია, რომ დღითიდღე ამ მხრივ უკეთესობას ვატყობ.

**ილია ნანობაშვილი**



ლილიან ტურამი ნაკრებში დაბრუნებას უარობს

# ზიზუ ზიზუა, ზორო ზოროა!
## მაკელელემ კი, ტურამმა არაო

**ზინედინ ზიდანის** საფრანგეთის ნაკრებში დაბრუნებას, ცხადია, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ფრანგული ფეხბურთის მამებმა და გულშემატკივრებმა მისი გადაწყვეტილებით ძალიან გაიხარეს.

უკვე ლეგენდად ქცეულმა ნახევარმცველმა ისიც თქვა, ჩემთან ერთად ნაკრებს კლოდ მაკელელეც უბრუნდება და მჯერა, იგივეს ლილიან ტურამიც გააკეთებსო, თუმცა ამ უკანასკნელს სხვაგვარი აზრი აქვს.

„სიმართლე გითხრათ, სათქმელი არაფერია. მე გადაწყვეტილება მივიღე და მის შეცვლას არ ვაპირებ. „ზიზუს" სიტყვებზე კი პასუხი ჯობია თავად მას სთხოვოთ" — აღნიშნა ვეტერანმა მცველმა.

შეგახსენებთ, რომ მან ზიდანთან და მაკელელესთან ერთად ეროვნული ნაკრები ევრო 2004-ს შემდეგ დატოვა. მაშინ 33 წლის ტურამმა განაცხადა, აჯობებს, გზა ახალგაზრდებს დავუთმოთ, ჩემი ყურადღება კი მთლიანად „იუვენტუსზე" გადავიტანოო.

ამასობაში ზიდანისა და მაკელელეს არჩევანს დიდი სიხარულით შეეგებნენ „მამლების" ამჟამინდელი კაპიტანი პატრიკ ვიეირა და ლეგენდარული ფრანგი ფორვარდი მიშელ პლატინი.

პატრიკ ვიეირა: „დაუჯერებელია, რომ ასეთი დონის ფეხბურთელები გვიბრუნდებიან. ძალიან მიხარია და მათ გადაწყვეტილებას ვაფასებ. ზიდანისა და მაკელელეს გამოცდილება თუ კლასი დიდ ძალას შეგვმატებს და ისევ ძველებურად ავთამაშდებით".

„ძალიან სასიხარულო და მისასალმებელი ამბავია. სიმართლე გითხრათ, არასოდეს მიფიქრია, რომ ზინედინს წასვლა მართლაც უნდოდა. უბრალოდ, მან იჩქარა. კარგი იქნება, თუ სხვებიც მას მიბაძავენ. ეს მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატების მიღწევაში დაგვეხმარება" — აღნიშნა პლატინიმ.

საკუთარ გადაწყვეტილებაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა თავად ზიდანმაც: „ახლა კვლავ მოტივირებული ვარ და მინდა, ეროვნულ ნაკრებს დავეხმარო. ეს გრძნობა დაახლოებით ერთი წლის წინ დაკარგული მქონდა. ჩემი განცხადების შემდეგ კი უფრო გავმხნევდი და სრულებითაც არ ვორჭოფობ, პირიქით. თუმც მხსნელის ან გმირის რანგში არ ვბრუნდები, მე ზორო არ ვარ. საფრანგეთის ნაკრების მაისურა მიყვარს და მაქსიმუმს გავიღებ, რათა წარმატებას მივაღწიოთ. უკვე მეკითხებიან, ვითამაშებ თუ არა 2006 წლის მუნდიალზე — რა თქმა უნდა, თუ ჩვენ მასზე მოვხვდებით".

33 წლის „ზიზუს" ოფიციალური დაბრუნება ალბათ 7 აგვისტოს შედგება, როდესაც ფრანგები ამხანაგურად გაეჯიბრებიან კოტ დივუარს.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ვალენსია ფიქრობს და ელოდება



მარკო დი ვაიოს ღამურობა მოსწონს

**გავრცელებული** ცნობით, ესპანური „ვალენსია" ისევ ცდილობს ენდი ვან დერ მეიდეს გადაბირებას. ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა „ინტერის" დატოვება გადაწყვიტა, მაგრამ მსურველებთან შეთანხმებას ჯერ ვერ ახერხებს. მისი დამატება ყველაზე მეტად „მონაკოს" სურდა, თმც „ლუი II"-ზე გადაბარგება თავად ჰოლანდიელმა იუარა.

ჭორების თანახმად, გამორიცხული არ არის, ვან დერ მეიდე „მესტალიაზე" გადაბარგდეს, მარკო დი ვაიო კი „სან სიროზე". „ღამურების" ფორვარდს ორივე მილანური კლუბი უტრიალებს და სამშობლოში დაბრუნება თითქოს მასაც სურდა, მაგრამ ახლა დი ვაიო სხვაგვარად ალაპარაკდა.

„რეალურად, „ვალენსიას" დატოვების სურვილი არ მაქვს. ჩემი ოჯახი აქ ბედნიერია და მეც მინდა, კლუბთან ერთად რაიმე მნიშვნელოვანი მოვიგო. ჩემი მთავარი მიზანია, რაც შეიძლება ბევრი გოლი გავიტანო და გუნდს მაქსიმალური სარგებლობა მოვუტანო" — აღნიშნა „იუვენტუსის" ყოფილმა ფორვარდმა.

თუმც „ვალენსია" სარფიანი წინადადების მიღების შემთხვევაში და ვაიოს გაყიდვაზე უარს არ იტყვის. ყველაფერი ალბათ მომავალ კვირაში გაირკვევა, მათ შორის ბერნარდო კორადის ტრანსფერის ამბვიც, რომლის გასხვისებასაც „ღამურები" ძალიან ცდილობენ, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ორივეს შეელიონ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ქალბატონს დაცვა ეცლება

**იტალიური** „იუვენტუსის" მცველი იგორ ტუდორი მალე შეიძლება „შტუტგარტის" რიგებში ვიხილოთ. ხორვატის დამატება ძალიან სურს გერმანული კლუბის თავკაც ჯოვანი ტრაპატონის და ტურინელებიც მზად არიან, 27 წლის ფეხბურთელი გაასხვისონ, მაგრამ დაახლოებით 3,5 მილიონი ევროს სანაცვლოდ. მხარეებს შორის მოლაპარაკება უკვე დაწყებულია.

ტუდორს, რომელსაც ნახევარდაცვაშიც შეუძლია თამაში, „უდინეზე" და „მიდლსბროც" უტრიალებენ. „დელე ალპის" დატოვება თავად ფეხბურთელსაც სურს, რადგანაც „იუვეს" ძირითად შემადგენლობაში ფაქტობრივად ვეღარ ხვდება.

პარალელურად „ბებერი ქალბატონის" ყოფილი მცველი პაოლო იგლესიას მონტერო არგენტინულ „სან ლორენსოში" ჩაირიცხა. ურუგვაელს ტურინელებთან კონტრაქტი ამ ზაფხულს ამოეწურა და კლუბის ხელმძღვანელობამ მისი გახანგრძლივება არ ისურვა.



პაოლო მონტერო

პაოლო მონტერო: „დიდი მადლობა იტალიას ყველაფრისთვის, რაც მომცა. აქ მრავალი სასიამოვნო წელი გავატარე და ახლა სამხრეთ ამერიკაში დავბრუნდი — ეს ჩემი ოცნება იყო. სხვადასხვა ევროპული კლუბების წინადადებაც სწორედ ამიტომ არ მივიღე.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ფიგუ ჯერ ექიმებმა უნდა გასინჯონ
## ინტერს მარტინსი ანერვიულებს



რამდენი წლისაა მარტინსი?

**როგორც** ფიფას აგენტმა ერნესტო ბრონძეტიმ გუშინ გვამცნო, ლუიშ ფიგუ „ინტერის" ფეხბურთელად ოფიციალურად ჯერ არ ითვლება. ყველაფერი საბოლოოდ დღეს უნდა დასრულდეს. ტრანსფერის ყველა დეტალი შეთანხმებულია, მხოლოდ კონტრაქტის გაფორმებაღა დარჩა, რაც პორტუგალიელმა ნახევარმცველმა სამედიცინო შემოწმების გავლის მერე უნდა გააკეთოს.

„შეთანხმება ფაქტობრივად მიღწეულია. თუმცა ფიგუ „ინტერის" მოთამაშედ ოფიციალურად დღეს ან შაბათს იქცევა. „რეალმა" მას და სანტიაგო სოლარის „ინტერში" წასვლის ნება იმიტომ მისცა, რომ მადრიდელთა თავკაც ვანდერლეი ლუშემბურგოს გარემარბებით თამაში მაინცდამაინც არ ხიბლავს. ვთქვათ ისიც, რომ ლუიშს კიდევ ბევრი შემოთავაზება ჰქონდა, მათ შორის „ვალენსიასა" და „ლივერპულისგან", მაგრამ მან ყველა უარყო და მილანელთა რიგებში გადასვლა გადაწყვიტა" — განაცხადა გუშინ ბრონძეტიმ.

ზუსტდება ფიგუს კონტრაქტის პირობებიც. იგი სავარაუდოდ „სან სიროზე" 2 წლის მანძილზე დარჩება და სეზონში დაახლოებით 4 მილიონ ევროს მიიღებს.

ამასობაში „ნეროაძური" ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ აალელვა, რომელმაც თავის ოფიციალურ ვებგვერდზე ობაფემი მარტინსის დაბადების თარიღად 1978 წლის 1 მაისი დაასახელა. არადა, აქამდე ვიცოდით, რომ აფრიკელი 1984 წლის 28 ოქტომბერს იყო დაბადებული.

ამან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მოგეხსენებათ, ისედაც გაუთავებლად ლაპარაკობენ, აფრიკული ქვეყნები თავიანთ მოთამაშეებს ასაკს აკლებენო. თუმცა ნიგერიის ფეხბურთის მამებმა ყველა დაამშვიდეს, შეცდომააო.

„ბოდიშს ვიხდით შეცდომისთვის, რომელიც მარტინსის დაბადების თარიღთან დაკავშირებით გაგვეპარა. მადლობა „ინტერს", რომელმაც ამის შესახებ გვამცნო და ეს უზუსტობა უკვე გამოვასწორეთ" — ნათქვამია ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ესიენმა რობინიოობა უარყო
## თქვენ იცით ინგლისური?



მიკაელ ესიენს „ლიონიდან“ არ უშვებენ

**მიკაელ ესიენს** „ლიონი“ „ჩელსიში“ არ უშვებს. ინგლისური მედიის ცნობა, თითქოს განელი ფეხბურთელი რობინიოსავით გაფიცვას აპირებდა, თვითონ ესიენმა უარყო.

„ლიონის“ პრეზიდენტი ჟან მიშელ ოლა და „ჩელსის“ პატრონი რომან აბრამოვიჩი განელის ტრანსფერის მოსაგვარებლად ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ სერობა არ შედგა. ჟან მიშელ ოლა კვლავაც 45 მილიონ გირვანქას ითხოვს, ჩვენი ფეხბურთელი სტივენ ჯერარდზე ნაკლები არ ღირსო.“ „ჩელსი“ სწორედ ამდენს სთავაზობდა „ლივერპულს“ ჯერარდის სანაცვლოდ. „ლიონის“ პატრონმა 45 მილიონი გირვანქა ააგდო და თავი შეუშვირა. მიკაელ ესიენს ახალ, უკეთეს კონტრაქტს შევთავაზებთ და არსად გავუშვებთ, არადა, ფეხბურთელს „ლიონში“ დარჩენა აღარ უნდა. გუნდის მწვრთნელმა ჟერარ ულიემაც გაიკვირვა, ესიენის გაფიცვაზე არაფერი მსმენია, ის „სტრასბურთან“ ხვალინდელი მატჩის განაცხადში შევიყვანეო.

ჟან მიშელ ოლამ ამასობაში მეორე, ფრანგული ფრონტი გახსნა, „ბორდოსგან“ მარუან შამახის ყიდვა სურს, მაგრამ ბორდოელთა პრეზიდენტი ნიკოლა დე ტავერნო ლიონელ კოლეგაზე არანაკლებ ჯიუტი გამოდგა. „ჟან მიშელ ოლა ორი თვეა, „ჩელსის“ ესიენზე უარს ეუბნება. მან ალბათ კარგად იცის ინგლისური და ამიტომ ინგლისურად ვეტყვი: **NO**! შამახი არ იყიდება. უკვე ორჯერ გავისტუმრე და კიდევ ერთხელ გავუმეორებ, რომ თავი დაგვანებოს. მისი ფული არ გვჭირდება“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ირურეტა ესპანეთში მწვრთნელობას ელოდება

**„დეპორტივოს“** ლეგენდარული ექსთავკაცი ხავიერ ირურეტა გალისიური ფლაგმანის ახალი დამრიგებლის, ხოაკიმ კაპაროსის მიერ გაწეული სამუშაოთი კმაყოფილი ჩანს.

„ინტერტოტოზე“ „ნიუკასლთან“ საჭირო გამარჯვება ვიზეიმეთ. ახლა უეფას თასის გათამაშებაში მოხვედრამდე ერთი ნაბიჯია დარჩენილი. მჯერა, რომ კაპაროსის შრომა შედეგს აუცილებლად გამოიღებს. მალე „დეპორტივო“ ისევ ევროპული გრანდების რისხვა გახდება — განაცხადა ირურეტამ კატალონიურ „სპორტთან“ ინტერვიუში..

ირურეტა, რომელმაც „დეპორტივოს“ 7 დაუვიწყარი სეზონის განმავლობაში უთავკაცა სამუშაოდ უცხოეთში წასვლას არ გეგმავს და კარიერის ისევ ესპანურ პრიმერადივიზიონში გაგრძელების სურვილს გამოთქვამს.

„რამდენიმე ცნობილმა უცხოურმა კლუბმა მომმართა, რომელთაც გარკვეული მიზეზების გამო არ ვასახელებ. რახან კვლავ პრიმერადივიზიონში დარჩენა მსურს, სხვა ფრანგული და ინგლისური გუნდების შემოთავაზებაზეც უარი ვქვით. თუ რომელიმე ესპანური კლუბი არ მიმიპატიჟებს, იძულებული ვიქნები, უქმად ვიჯდე და მხოლოდ წარსულზე ვიფიქრო“ — სიტყვა



ირურეტამ „დეპორტივო“ შეაქო

გადაუკრა ირურეტამ პირინეული გუნდების თავკაცებს თავის საპრიმერო ინტერესზე.

**ლადო ხომერიკი**

# სევილიაში ადებაიორს მოელიან



**ფრანგული** „მონაკოს“ 21 წლის მოიერიშე ემანუელ ადებაიორი მალე ალბათ ესპანური „სევილიას“ ფეხბურთელი გახდება. მოგეხსენებათ, სევილიელთა უპირველესი ვარსკვლავი ჟულიო ბაბტისტა უკვე მადრიდის „რეალის“ მობურთალია, ამიტომაც ანდალუზიური კლუბის თავკაცები ახალ „ბესტიას“ (მხეცი) დაეძებენ. ადებაიორი აფრიკაში, ტოგოში დაიბადა და ფეხბურთელად ფრანგულ „მეცში“ ჩამოყალიბდა.

„ემანუელ ადებაიორის „სევილიაში“ გადაბარგება იქაურისთვის მომგებიანი საქმე იქნება. მონაკოელი ერთობ ძლიერი მოთამაშეა, თან ევროკავშირის პასპორტსაც ფლობს, რაც კლუბს ზედმეტ პრობლემებს აარიდებს თავიდან“— წერს გუშინდელი ესპანური „მარკა“.

„მეცის“ პერიოდის შემდეგ (2001-03) აფრიკელმა მოიერიშემ „მონაკოს“ მიაკითხა და იქ საფრანგეთის ჩემპიონატში თუ ჩემპიონთა ლიგაზე ბურთაობით საქვეყნოდ გაითქვა სახელი. როგორც ფრანგული გაზეთები აცხადებენ, ადებაიორის შეძენა ინგლისურ „ვესტ ჰემსაც“ სურს, ამიტომაც „სევილიას“ სატრანსფერო ჯახი ალბიონელებთან მოუწევს. თავად საჯილდაო ფეხბურთელს კი „მონაკოზე“ გული უკვე აცრუებული აქვს — დიდიე დეშანი მას ძირითად შემადგენლობაში აღარ აყენებს. „მარკას“ ცნობით, ფრანგული კლუბი მზადაა, ადებაიორს 8 მილიონ ევროდ შეელიოს.

**ლადო ხომერიკი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

რობერტო კარლოსს „ინტერი“ ახსოვს

# რობერტო კარლოსმა ლუიშ ფიგუს გზა დაულოცა

**„საკუთარი** ბედი ფიგუს თავადვე უნდა გადაეწყვიტა და მანაც „რეალში“ დარჩენას „ინტერში“ გადასვლა არჩია. იგი ბრწყინვალე ფეხბურთელია და შესანიშნავი იქნებოდა, კვლავაც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გვეხილა... რაც შეეხება „ინტერს“, იტალიურ გუნდში მე ერთი წელი ვითამაშე და გეტყვით, რომ იქაური ინჩასების მსგავსად მსოფლიოში ცოტა ვინმე თუ იქცევა. „ნეროაძურის“ ფანები საყვარელ ფეხბურთელებს წაგების შემთხვევაშიც არ ღალატობენ და ყველანაირად გვერდზე უდგანან, რათა გამარჯვებას მიაღწიონ“ — განაცხადა გუშინ „რეალის“ ბრაზილიელმა გალაქტიკოსმა რობერტო კარლოსმა მადრიდულ „ასთან“ შეხვედრისას.

ოკეანისგაღმელის აზრით, ფიგუს ახალ კლუბთან შეჩვევა არ უნდა გაუჭირდეს: „ინტერნაციონალე“ მეგობრული გუნდია და ლუიშისნაირ პიროვნებას ამ გუნდთან ადაპტაცია არ გაუძნელდება. მინდა მას ყოველივე საუკეთესო ვუსურვო. სადაც არ უნდა ითამაშოს ფიგუმ, თავის სათქმელს ყოველთვის იტყვის...

გარდა ყოფილი თანაგუნდელისა, რობერტომ მადრიდის „რეალის“ სამომავლო გეგმებზეც ილაპარაკა. „ბოლო ორი სეზონია, ჩვენი კლუბი ღირებულს ვერაფერს იგებს. წლეულს ვანდერლეი ლუშემბურგომ გვითხრა, რომ მიზნად სამი დიდი ჯილდოს, ესპანური პრიმერას, კოპა დელ რეისა და ჩემპიონთა ლიგის მოგება უნდა დავისახოთ. წინ ბევრი ბრძოლა გველის, თუმც იმედია, გამარჯვებულები დავრჩებით.“

**ლადო ხომერიკი**

# ატლეტიკომ კოზმინ კონტრა ხეტაფეს ჩააბარა

**მადრიდის** „ატლეტიკო“ და „ხეტაფე“ რუმინელი კოზმინ კონტრას იჯარის შესახებ შეთანხმდნენ. მცველი ერთი წლით ბერნდ შუსტერის „ხეტაფეს“ ღირსებას დაიცავს. კონტრას „ატლეტიკოში“ ძველი ხელშეკრულებით კიდევ ორი სეზონით უნდა ებურთავა, თუმცა თეთრ-ალისფერთა არგენტინელ დამრიგებელ კარლოს ბიანკის გადაწყვეტილებით, „ვისენტე კალდერონის“ არენა დროებით დატოვა.

„ზერელედ არც ერთ გუნდში არ მთამაშია.“ ვეცდები, ჩემი საქმე „ხეტაფეშიც“ ასი პროცენტით შევასრულო“ — აღნიშნა რუმინელმა უკანახაზელმა, რომელიც გასულ სეზონშიც „მოიჯარე“ გახლდათ — ჯერ „ვესტ ბრომვიჩში“ თამაშობდა, შემდეგ კი მშობლიურ ტიმოშოარას „პოლიტექნიკაში“.



კოზმინ კონტრა

ახლა 30 წლის კონტრა მადრიდულ „ხეტაფეში“ გააგრძელებს კარიერას, კლუბში, რომელიც სამომავლოდ პრიმერაში სერიოზულ „გადატრიალებას“ გეგმავს. ბალკანელ მცველამდე ბერნდ შუსტერმა თავისი არმიის გასაძლიერებლად პაუნოვიჩს, გავილანს, სელესტინის, პარედესსა და ლუის გარსიას მიუხმო.

**ლადო ხომერიკი**

# მატადორი სალასი ისევ ჩილეს ჩემპიონატში ითამაშებს



მარსელო სალასი სამშობლოში დაბრუნდა

**მარსელო სალასი** კვლავაც მშობლიურ „უნივერსიდადს" უბრუნდება — იტალიურ „ლაციოში", „იუვენტუსსა" და არგენტინულ „რივერ პლეიტში" გატარებული 9-წლიანი პერიოდის შემდეგ „ელ მატადორს" გულმა ისევ თავისი გუნდისკენ გაუწია.

„დღეს „უნივერსიდადისთვის" და საერთოდ ჩილეს ფეხბურთისთვის ბრწყინვალე დღეა. ჩვენ არ ვართ ნაჩვევი მარსელო სალასის დარ ფეხბურთელებს, ამიტომაც მის მოსვლას ყველანაირად მივესალმებით" — უთხრა ადგილობრივ მედიას აღფრთოვანებულმა ლინო დიასმა, სამხრეთამერიკული გუნდის პრეზიდენტმა.

მარსელო „უნივერსიდადში" ორი სეზონით დარჩება და წლიურად 600 ათას დოლარს მიიღებს.

„ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ შინ დავბრუნდი. მომბეზრდა უცხოურ ლიგებში თამაში. ახლა მინდა, ისევ ჩვენს ჩემპიონატში ვიბურთაო. მსურს, მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც კი „უნივერსიდადში" დაბრუნებაში დამეხმარა" — აცხადებს თავად „ელ მატადორი".

ცხადია, დიდი გამოცნობა არ სჭირდება იმას, რომ გოლზე დაგეშილი სალასი ძველნაცად კლუბშიც 11-ნომრიანი მაისურით ითამაშებს...

**ლადო ხომერიკი**



ჯერმენ ჯენასი „ჭორდებმა" გააბრაზეს

# ჯენასს არ ეკაჭკაჭება

**„ნიუკასლის"** ჯერმენ ჯენასმა გუნდზე გული აიყარა. 22 წლის ნახევარმცველი „კაჭკაჭებს" ალბათ დაშორდება, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია.

თავის მხრივ, „ნიუკასლი" არ აპირებს ჯენასის გაყიდვას, რომელიც ეროვნული ნაკრების წევრია და კლუბმა სამი წლის წინ ხუთ მილიონ გირვანქად შეიძინა. თუ მაინც დათანხმდენ, „კაჭკაჭები" ორჯერ მეტს მოითხოვენ. დაახლოებით ერთი თვის წინ ჯენასის თაობაზე „ჭორდებს" „არსენალი" დაუკავშირდა და 10 მილიონი გირვანქა შესთავაზა. „მეთოფეთა" გარდა „მანჩესტერ იუნაიტედი", „მიდლსბრო" და „ტოტენჰემიც" არიან დაინტერესებულნი.

„ნიუკასლის" მწვრთნელმა გრემ სუნესმა ჯერმენ ჯენასთან ჩხუბის ამბავი უარყო. მას შემდეგ რაც ფეხბურთელი „დეპორტივოსთან" ინტერტოტოს მატჩში არ ათამაშა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პირესის გალობა

**„მეთოფე"** რობერ პირესმა დაადასტურა, რომ „გალათასარაის" მისი გადაბირება სურს. ფრანგ ნახევარმცველს სტამბოლური კლუბი ივნის-ივლისშიც უტრიალებდა, მაგრამ პირესი „არსენალთან" კონტრაქტის გახანგრძლივებას ელოდა და ყოყმანობდა. არსენ ვენგერმა თქვა, 30 წლის ფეხბურთელებს ორ-სამწლიან კონტრაქტს ვერ გავუფორმებთო.

რობერ პირესმაც სტამბოლისკენ გაიხედა: „გალათასარაის" პრეზიდენტი ჩემს აგენტს დაუკავშირდა და მეტად სარფიანი პირობები შესთავაზა. რაკი „არსენალს" აღარ ვუნდივარ, სტამბოლელთა წინადადებაზე დავფიქრდები. სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტომდე არ დაიხურება, ამიტომ დრო კიდევ მაქვს."

**ვაჟა ხუციშვილი**



რობერ პირესი თურქეთისკენ იყურება

# უიგანი გაგანიერდა
## ფრენსისი ქვემოდან ამოქვრა

**პრემიერლიგის** დებიუტანტი „უიგანი" შემადგენლობის გაძლიერებას ეშურება. მან „ნორვიჩის" ნახევარმცველი დამიენ ფრენსისი 2 მილიონ გირვანქად შეიძინა. ელიტიდან ნორვიჩელთა ჩაქვეითების გამო ფრენსისს ქვედა დივიზიონში თამაშის პერსპექტივა არ ხიბლავდა და თვალი პრემიერლიგისკენ ეჭირა.

დამიენ ფრენსისის გადაბირება „პორტსმუთსაც" ეწადა, მაგრამ „უიგანმა" დაასწრო და ნახევარმცველს თავისი მაისურა მოარგო. ფრენსისის სანაცვლოდ კლუბმა მილიონ ნახევარი გირვანქა გადაიხადა და 300 ათასსაც იმ შემთხვევაში დაამატებს, „უიგანი" პრემიერლიგაში ადგილს თუ შეინარჩუნებს.

„ტრანსფერი ძალიან სწრაფად გაიჩარხა. პრემიერლიგაში დაბრუნება სასიხარულოა. აქამდე გაურკვევლობაში ვიყავი და კარგია, რომ ჩემი გუნდი ვნახე" — თქვა დამიენ ფრენსისმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პირსი ფულემს ელის



სტიდ მალბრანკი (მარჯვნივ)

**„მანჩესტერ სიტიმ"** შონ რაიტ-ფილიპსის „ჩელსიში" გაყიდვით გვარიანი თანხა (21 მილიონი გირვანქა) ჩაიჯიბა და ახალ ფეხბურთელებზე „ნადირობს". სიტელებს „ფულემიდან" სტიდ მალბრანკის გადაბირება სურთ და ფეხბურთელის სანაცვლოდ 5 მილიონ გირვანქა გაუმზადებიათ.

„ფულემის" თავკაც კრის კოულმენს ნახევარმცველის გაშვება ენანება, მაგრამ „მანჩესტერ სიტის" მწვრთნელი სტიუარტ პირსი არ ეშვება — შუა ხაზის გასაძლიერებლად სტიდ მალბრაკის დამატება უნდა.

„ჩვენ საკმაოდ სოლიდური თანხა შევთავაზეთ „ფულემს" — თქვა სტიუარტ პირსმა — ახლა კი პასუხს ველით. მალბრანკი გამოცდილი ფეხბურთელია და სწორედ ის გვჭირდება. ვიმედოვნებ, რომ ლონდონელები დაგვთანხმდებიან".

**ვაჟა ხუციშვილი**

# დუალას მიდლსბრო უთვალთვალებს

**ლისაბონის** „სპორტინგის" კამერუნელი ნახევარმცველი როდოლფო დუალა შესაძლოა „მიდლსბროში" გადავიდეს.

ამის შესახებ, თვითონ ფეხბურთელმა განაცხადა: „ვიცი, რომ ორი კლუბი ტრანსფერზე ვაჭრობს და „მიდლსბროს" ჩემი გადაბირება სურს. ინგლისელები მე უკვე მესაუბრნენ, მაგრამ მთავარი კლუბების შეთანხმებაა. მინდა, რომ რაც შეიძლება მალე გაირკვეს ყველაფერი. „სპორტინგი" დიდი გუნდია, მაგრამ პრემიერლიგაში თამაშის პერსპექტივაც მხიბლავს. 27 წლის ვარ და უნდა გადავწყვიტო, კარიერისთვის უკეთესი რა იქნება".

„მიდლსბროს" მწვრთნელმა სტივ მაკლარენმა თქვა: „ჩვენ ორი ფეხბურთელის დამატება აუცილებლად გვჭირდება და სავარაუდო შესაძენთა შორის არის როდოლფო დუალაც. არ ვჩქარობთ, რადგან სწორი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ".

**ვაჟა ხუციშვილი**



როდოლფო დუალას (მარჯვნივ) პრემიერლიგა ხიბლავს




ჟოზე მაურინიუ და არსენ ვენგერი ერთმანეთს კარდიფში დაუპირისპირდებიან

# ლონდონური დონე კარდიფში
## არსენალი ზედიზედ მეოთხეს ეპოტინება

**ხვალ** კარდიფის „მილენიუმზე" ლონდონური დერბი გაიმართება. „არსენალი" და „ჩელსი" „ქომიუნითი შილდისთვის" დაეჯახებიან — ასოციაციის თასის მფლობელი პრემიერლიგის ჩემპიონის წინააღმდეგ.

„ქომუნითი შილდი ტრადიციულად ყოველ ზაფხულს, ინგლისის ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე თამაშდება. წლეულს განსაკუთრებული მატჩია, რადგან ჯილდოსთვის ლონდონელები იბრძოლებენ. პრემიერლიგის დაარსებიდან (1993) დედაქალაქის გუნდები კარდიფში არასოდეს შეხვედრიან.

„არსენალმა" ბოლო სამ წელიწადში ზედიზედ სამჯერ მოიგო „ქომიუნითი შილდი". 2002-ში „ლივერპულს" აჯობა, 2003-ში „მანჩესტერ იუნაიტედს" პენალტებით სძლია, შარშან კი კვლავ მანჩესტერელები დაამარცხა — 3:1.

გასულ სეზონში „ჩელსიმ" პრემიერლიგა და ლიგის თასი მოიგო. ჟოზე მაურინიუს გუნდმა ჩემპიონატში მდევარ „არსენალს" თორმეტი ქულით გაასწრო. „მეთოფეებმა" მხოლოდ ერთი, ასოციაციის თასი მოიხელთეს და მეორე ჯილდოს დაუფლებაც სწყურიათ. ასეც რომ არ იყოს, ლონდონური ჯახი მაინც ყოველთვის გამორჩეულია. მით უმეტეს, „ჩელსის" „არსენალისთვის" პრემიერლიგაში უკვე ათი წელია, არ მოუგია.

სათასო მატჩებს რაც შეეხება, 1998 წლის თებერვალში ინგლისის ლიგის თასის ნახევარფინალში „ჩელსიმ" „არსენალი" 3:1 დაამარცხა, ერთი წლის წინ კი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც „ლურჯებმა" იძალეს. ასე, პრემიერლიგის მიღმა თუ ახერხებს ხანდახან „ჩელსი" „მეთოფეების" ძლევას და ხვალინდელი კარდიფული მატჩიც ჟოზე მაურინიუს გუნდისთვის ერთ-ერთი ასეთი შანსია. გარდა ამისა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ კარდიფში გამოჩნდება, ვის როგორი გუნდი ჰყავს პრემიერლიგის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე. და კიდევ — ჩემპიონატის მეორე ტურში „ჩელსი" „არსენალს" მასპინძლობს. მოკლედ, ინტრიგა უხვადაა.

| 12062 | ვერდერი-არმინია | 2.20 | 1.50 |
| 12063 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 1.90 | 1.70 |
| 12064 | დუისბურგი-შტუტგარტი | 1.90 | 1.70 |
| 12065 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 2.00 | 1.60 |
| 12066 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 2.10 | 1.60 |
| 12067 | შალკე-კაიზერსლაუტერნი | 2.10 | 1.60 |

# დასისცხული ფინალი ლოკომოტივის სტადიონზე

## დღეს საქართველოს თასს ახალი პატრონი გამოუჩნდება

**აგვისტოს** მზის ქვეშ თბილისში რაგბის თამაში საძნელო საქმე გახლავთ, თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო გაწელილგაჭიანურებულ საქართველოს თასის გათამაშებას დასრულება უნდა და დღეს, „ლოკომოტივის" სტადიონზე, საფინალო მატჩი გაიმართება.

თამაში ცხარიანი უნდა გამოვიდეს, ერთმანეთის იმიღიხურ დერბიში „ლოკომოტივი" და „ლელო" შეერკინებიან. სამწუხაროდ, მატჩის ტელეტრანსლაცია არ მოხერხდა და ამიტომ ვისაც ქართული რაგბი აღარდებს, 6 საათისთვის ვაკის გზას უნდა დაადგეს.

გუშინ გუნდებმა წინასამატჩო პრესკონფერენცია გამართეს.

*თემურ ბენდიაშვილი* (ლოკომოტივის მწვრთნელი): თავიდან ფინალის საორგანიზაციო საკითხებს შევეხები. რა თქმა უნდა უკეთესადაც შეიძლებოდა მატჩის ორგანიზება. თუნდაც ის ფაქტი, რომ აგვისტოში გვიწევს თამაში, ძალიან დასანანია. მაგრამ როგორც მოხერხდა ისე გავაკეთა. მთავარი თამაშია, რომელიც წესითა და რიგით ძალიან მაგარი უნდა გამოვდეს. მე ნამდვილ რაინდულ ბრძოლას ველოდები.

ეს ფინალი იმითაც არის გამორჩეული, რომ ერთმანეთს საქართველოს ჩემპიონი „ლელო" და თასის მფლობელი „ლოკომოტივი" ხვდებიან. ჩვენს გუნდებში ბევრი ისეთი მორაგბე თამაშობს, რომლებიც ან საქართველოს ნაკრებში არიან, ან ნაკრების კანდიდატებად ითვლებიან და ესეც დამატებით ლაზათს სძენს თამაშს.

*ლევან მაისაშვილი* („ლელოს" მწვრთნელი): რა თქმა უნდა, დაძაბული და რთული თამაში იქნება და ჩვენც ვეცდებით ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ მაყურებელს ლამაზი სარაგბო საღამო vაჩუქოთ.

პრესკონფერენციის დასასრულს კი ცოტაოი თემასაც გადავუხვიეთ. თემურ ბენდიაშვილმა დანანებით აღნიშნა, ქართული ტელეარხები რატომღაც რაგბის სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, არადა ისეთ ტურნირებს, როგორებიც ზეთორმეტი, სამი ან ექვსი ერის თასია, მაყურებელი აუცილებლად გამოუჩნდებოდათ.

საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენლებმა ფინანსური დახმარებისთვის განსაკუთრებული მადლობა „ყაზბეგს", „პროკრედიტ ბანკს" და საქართველოს სპორტის დეპარტამენტს გადაუხადეს და ამით პრესკონფერენციაც დამთავრდა. ჩვენ კი მოკლედ იმაზეც ვთქვათ, გუნდები ფინალამდე როგორ მოვიდნენ.

ორ ხუთგუნდიან ჯგუფში განაწილებული 10 გუნდიდან ნახევარფინალისტების გასარკვევად წრიული ტურნირი გაჩაღდა. აქვე აღვნიშნოთ, რომ თასის გათამაშებაში პირველად მიიღო მონაწილეობა „თელავმა", რომელიც წარმატებული თამაშით ჯერ ვერ დაიკვეხნის, თუმცა კახელების სარაგბო გააქტიურება მისასალმებელია.

ჯგუფებში პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები ერთმანეთს ნახევარფინალებში შეუწყვილდნენ. „ლოკომოტივს" ქუთაისის „აია" ერგო მეტოქედ და ორივე მატჩი თბილისელთა გამარჯვებით დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისელებმა მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს.

„ლელო" „აკადემიას" გადაეყარა, ერთი თამაში ფრედ დასრულდა, მეორეში კი „ლელომ" იყოჩაღა და „ლოკომოტივთან" ერთად ფინალში აღმოჩნდა.

**ლადო ფულუძიძე**

# შავები მოდიან

## კეიპტაუნში საქმე გაირჩევა

**დღეს** კეიპტაუნში დიდი სარაგბო ორომტრიალია, სამი ერის თასისათვის ბრძოლაში ახალი ზელანდიაც ჩაერთო და აფრიკული კონტინენტის უკიდურეს სამხრეთულ ქვეყანას მიუხდა.

ფავორიტები ალბათ უფრო სტუმრები არიან. მას შემდეგ, რაც სამხრეთ აფრიკამ სამი ერის თასი მოიგო, ზელანდიელები ყველა სტატისტიკური მონაცემის მიხედვით უკეთ გამოიყურებიან, ნოემბრის ტესტ-მატჩების თავი დავანებოთ და უახლოესი ამბავი, ბრიტანელ-ირლანდიელი „ლომების" მაორთა ქვეყანაში სტუმრობა გავიხსენოთ. „შავებმა" ვუდვორდის ბიჭები სამივე თამაშში დაჩაგრეს და ევროპაში სირცხვილნაჭამები გამოაბრუნეს.

ახალზელანდიელთა თამაშში უბრალო წუნის პოვნაც კი ძნელია და სამხრეთაფრიკულ „ქურციკებს" უეჭველად სეზონის ერთ-ერთი ურთულესი მატჩი ელით. მათ მხოლოდ ორ კომპონენტში აქვთ უპირატესობა. პირველი — „ქურციკები" შინ თამაშობენ და „ნიულენდ სტედიუმზე" შეკრებილი ქომაგის გამამხნევებელი შეძახილები არ მოაკლდებათ. მეორე — ერთი თამაში უკვე ჩაატარეს და მრისხანე ავსტრალიელების ძლევის შემდეგ, ფსიქოლოგიურად კარგად არიან განწყობილნი.

სხვა მხრივ კი „შავები" აშკარად მეტად იმსახურებენ ფავორიტის სტატუსს, თუნდაც სტატისტიკას გადავხედოთ. 2000-დან 2004 წლამდე მაორები „ქურციკებს" 11-ჯერ შეერკინენ და 9-ჯერ გაამითურეს. სამხრეთაფრიკელთა ანგარიშზე მხოლოდ 2000 და 2004 წლებში მოგებული ორი შეხვედრაა.

სპეციალისტთა აზრით, დღევანდელი მატჩი წლევანდელი სამი ერის თასის მფლობელის ვინაობის გასარკვევად გადამწყვეტი შეხლა იქნება და თუ ახალზელანდიურმა ნაკრებმა მოიგო, წინ ვეღარაფერი დაუდგება. მართალია, არც ავსტრალიელთა ჩამოწერაა მართებული, მაგრამ ოზებმა ერთი თამაში უკვე წააგეს და გაპირველება მეტად გაუჭირდებათ.

იგივე სპეციალისტები იმასაც ამბობენ, რომ დღევანდელ შეხლაში „შავები" მასპინძლებს მინიმუმ ათქულიანი სხვაობით მოუგებენ. ეს ვარაუდი გამართლდება თუ არა, სულ მალე შევიტყობთ, მანამდე კი ნაკრებთა განაცხადებს გაეცანით.

სამხრეთ აფრიკა: პერსი მონტგომერი, ბრეიტონ პოლსი, ჟაკ ფური, ჟან დევილიერი, ბრაიან ჰაბანა; ანდრე პრეტორიუსი, ენრიკო ჯანუარი; ჯო ფან ნიკერკი, იუან სმიტი, შალკ ბურგერი, ვიქტორ მეტფილდი, ბაკიზ ბოთა, სიჯეი ფან დერ ლინდე, ჯონ სმიტი (კაპ), ოზ დურანდტი

სათადარიგოები: ჰანიანი შიმანჯი, გურთრო შტინკამპი, ალბერტ ფან დენ ბერგი, ჟაკ კრონხე, ფიური დიუპრე, უეინ ჯულისი, იაკო ფან დერ ვესტჰოიზერი

ახალი ზელანდია: ლეონ მაკდონალდი, რიკო გირი, ტანა უმაგა (კაპ), აარონ, მაუგერი, მილს მულიაინა; დენ კარტერი, ბაირონ კელეჰერი; როდნი სოოიალო, რიჩი მაკქოუ, ჯერი კოლინზი, ალი უილიამსი, კრის ჯეკი, კარლ ჰაიმანი, კევინ მეალამუ, ტონი ვუდკოკი

სათადარიგოები: დერენ უითკომბი, გრეგ სომერვილი, ჯეიმს რაიანი, მარტი ჰოლა, ჰიპი უიიპუ, ლიუკ მაკალისტერი, ჯო როკოკოკო

**ლადო ფულუძიძე**



ახალზელანდიელთა ბელადი ტანა უმაგა





ჰანო მოტოლა იტალიიდან რუსეთში გადაბარგდა

# ევროპული მიდი-მოდი

## ბარსას ცენტრი მოეშალა

სადღეისოდ ქართველი კალათბურთელების ნომერი პირველი მტერი ჰანო მოტოლაა, რომელიც ფინეთის ნაკრების ლიდერია და 3 სექტემბრის მატჩისთვის კბილებს ილესავს. მოგეხსენებათ, ამ დღეს ჰელსინკში ფინეთის ნაკრები საქართველოსას დაუხვდება და მოტოლამ და მისიანებმა თუ იმარჯვეს, მინიმუმ 2009 წლამდე ევროჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაზე ველარც ვიოცნებებთ.

მოტოლა ახლა ფინეთის ნაკრებთან ერთად ემზადება, თუმც ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, ახალ გუნდში გადასულიყო. ჰანომ რუსეთის ერთ-ერთ გრანდთან, ევროვარსკვლავებით გადაჭედილ მოსკოვის „დინამოსთან" გააფორმა კონტრაქტი.

მოტოლას გასული სეზონი იტალიურ „სკავოლინიში" გაატარა. ის ამ გუნდს ევროლიგაში მიუძღვოდა და საშუალოდ მატჩში 13,6 ქულასა და 5 მოხსნას უყრიდა თავს.

ფინელი ფორვარდის მოკლე საკარიერო ექსკურსი კი ასე გამოიყურება: მან თამაში მშობლიურ „ჰელსინკიში" დაიწყო და მერე ამერიკაში, იუტას უნივერსიტეტის გუნდში გადავიდა. 2000 წელს ჰანო დრაფტზე „ატლანტამ" აირჩია და ის „ქორებთან" ორი სეზონი თამაშობდა. ეს იყო და, მოტოლას ნბაური კარიერა დასრულდა და 2002 წლიდან ის ევროპის წამყვან გუნდებში მიდი-მოდის.

ევროპის 2002 წლის საუკეთესო მოთამაშე და ამავე წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფატორი დეიან ბოდიროგა კატალონიურ „ბარსელონადან" იტალიურ „რომაში" გადავიდა.

ბოდიროგამ რომაელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მას წლეულს დაუმთავრდა 3-წლიანი ხელშეკრულება „ბარსასთან". ბოდიროგამ ამ სამი წლის განმავლობაში ევროლიგაც მოაგებინა კატალონიელებს, ესპანეთის თასიც და ჩემპიონობაც.

აღსანიშნავია, რომ „რომაში" ბოდიროგას მწვრთნელი სვეტისლავ პეშიჩი იქნება, რომელიც მას „ბარსასა" და სერბეთის ნაკრებში წვრთნიდა.

სერია A-ში ბოდიროგას კარიერის გარიჟრაჟზეც უთამაშია. 1989-90 წლების სეზონში ის „ტრიესტსა" და „მილანში" ილვწოდა და შემდეგ ესპანეთში გადაბარგდა. ერთხანს ის ბერძნულ „პანათინაიკოსსაც" წინამძღოლობდა და მასთან ერთად ყველა ტიტული მოიგო, რაც კი შეიძლებოდა.

„ბარსელონამ" ბოდიროგა იტალიაში ხომ გაუშვა და შევსებაც ამ ქვეყნიდან მიიღო. კატალონიელებმა „ბენეტონიდან" 553 ათას ევროდ 30 წლის ცენტრი დენის მარკონატო შეიმატეს, ხოლო ბოლონიური „კლიმამიოსგან" იტალიის ნაკრების კიდევ ერთი წევრი, ჯანლუკა ბაზილე ირგუნეს.

„ბარსა" ფაქტობრივად უცენტროდ დარჩა მას შემდეგ, რაც რობერტო დუენიასი ნბა-ში გადაბარგდა და მარკონატოს მისვლით კატალონიელებმა ერთობ გაიხარეს.

**ირაკლი პერტაია**

### ბიოტეგორგი. 5 აგვისტო

VII ტური (კაცები)

**საქართველო 2,5-1,5 უკრაინა**

| | | |
|---|---|---|
| ზურაბ აზმაიფარაშვილი | 0,5:0,5 | ვასილ ივანჩუკი |
| ბაადურ ჯობავა | 1:0 | ალექსანდრე მოისეენკო |
| ლევან ფანცულაია | 0,5:0,5 | სერგეი კარიაკინი |
| მიხეილ მჭედლიშვილი | 0,5:0,5 | იური კუზუბოვ |

(ქალები)

**საქართველო 2,5-1,5 რუმინეთი**

| | | |
|---|---|---|
| მაია ჩიბურდანიძე | 1:0 | კრისტინა ადელა ფოისორი |
| ნინო ხურციძე | 0,5:0,5 | გაბრიელა ოლარასუ |
| მაია ლომინეიშვილი | 1:0 | ადინა-მარია ბოგზა |
| ნანა ძაგნიძე | 0:1 | ანა-კრისტინა კალოტესკუ |

# მძლეთამძლეოსნობა

HELSINKI August 6-14 2005
IAAF World Championships

## დღეს ჰელსინკიში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება

**დღეიდან** ჰელსინკი გაიქცევა, ახტება, გადახტება, იძუნძულებს, შუბს ისვრის, ბირთვს ჰკრავს, ბადროს სტყორცნის... და ამ საქმეში მრავალი ადამიანი ჩაერევა, მაგრამ მათ შორის 32 ისეთი იქნება, რომ შეგვიძლია ამთავითვე ვთქვათ: წინ დიდებული ცხრა დღე გველის — მძლეოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატია.

ვინ არის ის 32 ადამიანი, რომელთა ჰელსინკიში ყოფნა ასეთ საგანგებო ელფერს ჰმატებს შეჯიბრებას? ისინი ოლიმპიური ჩემპიონები გახლავან. ცხადია, როგორც ყოველთვის, ყოველი ოლიმპიადის შემდეგ, ათენის მერეც წავიდნენ სპორტიდან დიადნი, ზოგიც დაშავდა, ზოგსაც რა შეემთხვა, მაგრამ, როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, ამდენი ვარსკვლავის თავმოყრა მაინც მოულოდნელი გამოდგა.

რაც შეეხება სპორტიდან წასულ და დაშავებულ დიადებს — ბრიტანელი მორბენალი კელი ჰოლმსი ტრავმირებულია, დიდ დისტანციათა მეფე ჰიშამ ელ გურუჯი გადაქანცული, ხოლო სპორტულ სიარულში ყველა დროის საუკეთესო, პოლონელი რობერტ კორჟენიოვსკი სარბიელს სამუდამოდ გამოემშვიდობა.

ცხადია ჩამოთვლილნი ჰელსინკის ჩემპიონატს ერთიორად დაამშვენებდნენ, მაგრამ მოდი ახლა ისინიც დავასახელოთ, ვინც ქომაგს ალაფრთოვანებს და ეს ჩამოთვლა ახალგაზრდებით დავიწყოთ:

100 მეტრზე მორბენალი ჯასტინ გეტლინი, 400 მეტრის დიდოსტატი ჯერემი უორინერი, იური ბორზაკოვსკი, რომლის საყვარელი დისტანცია 800 მეტრია, უბადლო 10 000 მეტრზე რბენაში კენენისა ბეკელე, 3000 მეტრის ოსტატი ეზეკიელ კემბოი, ლუ ჟიანგი, 110 მეტრზე თარჯრბენის სპეციალისტი, სიმაღლეზე მხტომელი ელენა სლესარენკო, ჭოკით მხტომელი, მსოფლიოს რეკორდსმენი ელენა ისინბაევა და ჰეპტატლონელი კაროლინა კლუფტი.

რაც შეეხებათ კიდევ უფრო ძველებს: შონ კროუფორდმა მართალია ათენში 200 მეტრზე გაიმარჯვა, მაგრამ ჰელსინკიში 100 მეტრსა და ესტაფეტაზე აპირებს გამოსვლას, მარათონელი სტეფანო ბალდინი კვლავ ფორმაშია, შეჯიბრებისთვის მზადაა 400 მეტრზე თარჯრბენის დიდი ჩემპიონი ფელიქს სანჩესი, აუცილებლად უნდა დავასახელოთ სიმაღლეზე მხტომელები დუაიტ ფილიპსი და სტეფან ჰოლმიც და სხვები ვინც ათენში ოლიპიური ოქრო მოიგო, მაგრამ გვარების გრძელი ჩამონათვალით თქვენს მხედველობას აღარ გადავძაბავთ.

ჯობს მძლეოსნობის ისეთ მარგალიტზე შევჩერდეთ როგორიცაა 100 მეტრზე რბენა და ალალი სიხარულით ვთქვათ, რომ ამ დისციპლინაში ძალიან საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი. ეს რომ მართლა ასეა, თავად მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი კიმ კოლინზი ადასტურებს. საქმე კი ის გახლავთ, რომ ჰელსინკიში არ იქნება მსოფლიოს რეკორდსმენი ასაფა პაუელი, რაც კოლინზის აზრით იმას ნიშნავს, რომ შეჯიბრება ნებისმიერმა შეიძლება მოიგოს.

ვინ არის ფავორიტი? რა თქმა უნდა ზემოხსენებული ამერიკელი ჯასტინ გეტლინი და ტრინიდადელი მარკ ბარნსი, რომელიც წლეულს ძალიან ძლიერად გამოდის.

თავად 31 წლის კოლინზი? ის ახლა თავს ფავორიტად აღარ თვლება და რამდენადაც სიტუაციის შორიდან ეტყობა, თავადაც არ უნდა — დაე, აუტსაიდერად მიიჩნიონ, თავად კი ყველაფრისთვის მზად იქნება.

და კიდევ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მძლეოსანთა მეათე მსოფლიო ჩემპიონატი ამ შეჯიბრებების ღაბადების ადგილას ტარდება — მსოფლიოს პირველ ჩემპიონატს 1983 წელს სწორედ ჰელსინკმა უმასპინძლა.

ის ჩემპიონატი ფინელი გულშემატკივრისთვის საგანგებოდ მოსაგონარი გახლავთ. მიზეზი: 54 700 მაყურებლის თვალწინ ადგილობრივმა გმირმა შუბის მტყორცნელმა ტიინა ლილაკმა ოქროს მედალი მოიპოვა.

„მას მერე ოცი წელიწადია, ერთსა და იმავეს მეკითხებიან და მეც ერთსა და იმავეს ვპასუხობ — იმ დღეს, შუბის იმ ტყორცნის დროს ვიცოდი, რომ უნდა გამემარჯვა. სხვა გზა უბრალოდ არ იყო".

დღეს კი მეათე ჩემპიონატი იწყება მსოფლიოზე საიუბილეოთ, ამბობენ და ვინ იცის ამიტომაც მოუყარა ბედმა 32 ოლიმპიურ ჩემპიონს თავი.

**ტუტა სიხარულიძე**



მსოფლიოს ჩემპიონი 100 მეტრზე რბენაში კიმ კოლინზი



1983 წელი. მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი. ფინელი ტინა ლილაკის ოქროს ტყორცნა

## მსოფლიოს რეკორდები

### კაცები

| | | | |
|---|---|---|---|
| 100 მ | 9.77 | ასაფა პაუელი | 2005 |
| 200 მ | 19.32 | მაიკლ ჯონსონი | 1996 |
| 400 მ | 43.18 | მაიკლ ჯონსონი | 1999 |
| 800 მ | 1:41.11 | უილსონ კიპკეტერი | 1997 |
| 1000 მ | 2:11.96 | ნოა ნგენი | 1999 |
| 1500 მ | 3:26.00 | ჰიშამ ელ გურუჯი | 1998 |
| 2000 მ | 4:44.79 | ჰიშამ ელ გურუჯი | 1999 |
| 3000 მ | 4:20.67 | დანიელ კომენი | 1996 |
| 5000 მ | 12:37.35 | კენენისა ბეკლე | 2004 |
| 10 000 მ | 26:20.31 | კენენისა ბეკლე | 2004 |
| მარათონი | 2:04.55 | პოლ ტერგატი | 2003 |
| 3000 მ წინალობებით | 7:53.63 | საიფ საედ შაჰენი | 2004 |
| 100 მ თარჯრბენი | | | |
| 110 მ თარჯრბენი | 12.91 | კოლინ ჯეკსონი | 1993 |
| | | ჟანგ ლუ | 2004 |
| 400 მ თარჯრბენი | 46.78 | კევინ იანგი | 1992 |
| სიმაღლეზე ხტომა | 2.45 | ხავიერ სოტომაიორი | 1993 |
| ჭოკით ხტომა | 6.14 | სერგეი ბუბკა | 1994 |
| სიგრძეზე ხტომა | 8.95 | მაიკ პაუელი | 1991 |
| სამხტომი | 18.29 | ჯონათან ედუარდსი | 1995 |
| ბირთვის კვრა | 23.12 | რენდი ბარნსი | 1990 |
| ბადროს ტყორცნა | 74,08 | იურგენ შულტი | 1986 |
| უროს ტყორცნა | 86.74 | იური სედიხი | 1986 |
| შუბის ტყორცნა | 98.48 | იან ჟელეზნი | 1996 |
| 20 კმ სიარული | 1:17.21 | ჯეფერსონ პერესი | 2003 |
| 50 კმ სიარული | 3:40.57.9 | ტერი ტუტაინი | 1996 |
| 4X100 მ ესტაფეტა | 37:40 | აშშ | 1992 და 1993 |
| 4X400 მ ესტაფეტა | 2:54.20 | აშშ | 1998 |
| ათჭიდი | 90.26 | რომან შებრლე | 2001 |
| შვიდჭიდი | | | |

### ქალები

| | | |
|---|---|---|
| 10.49 | ფლორენს ტრიფიტ ჯოინერი | 1983 |
| 21.34 | ფლორენს გრიფიტ ჯოინერი | 1988 |
| 47.60 | მარიტა კოხი | 1985 |
| 1:53.28 | ჯარმილა კრატოჩვილოვა | 1983 |
| 2:28.98 | სვეტლანა მასტერკოვა | 1996 |
| 3:50.46 | იუნჟია ქუ | 1993 |
| 5:25.36 | სონია ოსალივანი | 1994 |
| 8:06.11 | იუნჟია ვანგი | 1993 |
| 14:24.68 | ელვან აბეილეგესე | 2004 |
| 29:31.78 | იუნჟია ვანგი | 1993 |
| 2:15.25 | პოლა რედკლიფი | 2003 |
| 9:01.59 | გულნარა სამიტოვა | 2004 |
| 12.21 | იორდანკა დონკოვა | 1998 |
| 52.34 | იულია პეჩონკინა | 2003 |
| 2.09 | სტეფკა კოსტადინოვა | 1987 |
| 5.00 | ელენა ისინბაევა | 2005 |
| 7.52 | გალინა ჩისტიაკოვა | 1988 |
| 15.50 | ინესა კრავეცი | 1995 |
| 22.63 | ნატალია ლისოვსკაია | 1987 |
| 76.80 | გაბრიელ რეინში | 1988 |
| 77.06 | ტატიანა ლისენკო | 2005 |
| 71.54 | ოსლეიდის მენენდესი | 2001 |
| 1:26.22 | იან ვანგი | 2001 |
| | ელენა ნიკოლაევა | 2001 |
| 3:36.03 | რობერტ კორჟენიევსკი | 2003 |
| 41.37 | გდრ | 1985 |
| 3:15.17 | სსრკ | 1988 |
| 8366 | აუსტრა სკუიტე | 2005 |
| 7291 | ჯეკი ჯოინერ კერსი | 1988 |



ჯერემი უარინერი

# აი, სუგიამა

**ACURA CLASSIC**
**სან დიეგო. მაგარსაფარი**
**საპრიზო 1,3 მილიონი $**

**მესამე წრე**

**აი სუგიამა** იაპონია) — სვეტლანა კუზნეცოვა (2, რუსეთი) 2:6 6:4 6:1; **პატი შნიდერი** (5, შვეიცარია) — ფრანჩესკა სკიავონე (17, იტალია) 6:7 (1:7) 6:1 6:4; **მარი პირსი** (6, საფრანგეთი) — ნატალი დეში (10, საფრანგეთი) 7:5 6:3; **კიმ კლაისტერსი** (7, ბელგია) — ელენა იანკოვიჩი (11, სდჩ) 6:3 6:1; **ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) — ელენა ლიხოვცევა (9, რუსეთი) 6:3 6:1; **შუაი პენი** (ჩინეთი) — დინარა საფინა (16, რუსეთი) 7:6 (7:2) 6:0; **აკიკო მორიგამი** (იაპონია) — სანია მირზა (ინდოეთი) 6:2 4:6 6:4; **სესილ კარატანჩევა** (ბულგარეთი) — მაშონა ვაშინგტონი (აშშ) 6:1 6:2

სანდიეგოების სტარტზე მწყობრში თერთმეტი რუსგოგო იყო, მაგრამ ამ თერთმეტიდან მეოთხედფინალს ოდენ ერთმა, ისიც განუთესავმა ანა ჩაკვეტაძემ უწია.

წინა დღეებში ოტებულ ბობოლა რუსებს — ელენა დემენტიევას, ნადია პეტროვასა და ვერა ზვონარიოვას მესამე წრეში აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის ჩემპიონი სვეტლანა კუზნეცოვა, მეცხრე ნომრად განთესილი ელენა ლიხოვცევა და, ბარემ ესეც ვახსენოთ, დინარა საფინაც მიყვნენ.

ცხადია, ამათგან ყველაზე მოულოდნელი კუზნეცოვას გაბუნძულება გახლდათ. ეგ მით უფრო, რომ მას 30 წლის იაპონელ მძლეველ აი სუგიამას წლეულს ერთხელაც ვერ გაეღწია მეოთხედფინალამდე, ხოლო ვინგინდავინ ზეათეულელისთვის მას შემდეგ ველარ მოეგო, რაც რომ 2003 წლის ნოემბერში სეზონის დამაგვირგვინებელ ტურნირზე ჟუსტინ ენენ-არდენს აჯობა.

მსოფლიო რეიტინგსის მეთხუთმეტ(?) ...ლისანმა კუზნეცოვამ მატჩის მსვლელობისას 69 უხეშლიე შეცდომა დაუშვა, თანაც აქედან 36-ჯერ — ბოლო სეტებში. მაშინ მივქარე, როცა მეორე სეტში მატჩის გადარჩენის შანსი მივეცით, ამბობდა ის მერე და მესამეში კი უკვე მაგრად გამიჭირდათ, ასე დასძენდა. რაც შეეხებათ ლიხოვცევასა და საფინას, პირველს სწორედ ჩაკვეტაძემ გადაურბინა, მეორეს კი — დემენტიევას მაოტარმა 19 წლის ჩინელმა შუაი პენმა.

სხვათაშორის — ტურნირის 22-წლოვან ისტორიაში ეს უკვე მეორედ ხოლო 1996 წლის მერე პირველად) მოხდა, რომ უკანასკნელ რვეულს ერთმა ამერიკელმაც ვერ უწია. მასპინძელთა იმედები ერთობ ისე-რა მეჩოგნე მაშონა ვაშინგტონზეღა ეკიდა, მაგრამ ამ ჩია შავგოგომ ვერაფერი გააწყო ზეგ გასათექვსმეტწლისებელი ბულგარელი ნიჭიერისხობის, სესილ კარატანჩევას წინაალმდეგ, ვინაც დღეს — სხვათა შორის — თავის მესამე საამსეზონო მეოთხედფინალში იასკიკილებს.



ერთადერთი ზეათეულელი, ვინაც კუზნეცოვას ოტების შემდეგ ტურნირს დაურჩა, წინა კვირაში სტენფორდობაზე გალაღებული კიმ კლაისტერსია. ფუმფულა კიმმა უპრობლემოდ დაიმორჩილა კენარი სერბი ელენა იანკოვიჩი და წლეულს ნაგემი ხუთი მარცხის წილ უკვე მეორმოცე გამარჯვება მიითვალა.

მეოთხედფინალისკენ გაივაკა შევეტერანებულმა მარი პირსმაც, ვინაც თვისტომ ნატალი დეშის მეოთხე საკარიერო დაპირისპირებაში ჩოგანი მეოთხედვე გადაულუნა. შეგახსენებთ, რომ პირსი ტურნირის 1998 წლის ფინალისტია. იმ წელს, სანამ გადამწყვეტ შეხლაში ლინდსი დევენპორტთან დათმობდა, ის ვინუს უილიამსსა და თვით მაშინდელ ცუგრუმელა პირველოსან მარტინა ჰინგისსაც მოერია...

და კიდევ — ამ ორიკვირისწინანდელი ცინცინატობის ფინალისტმა აკიკო მორიგამიმ წინა დღეს ნადია პეტროვას დამთრგუნველი სანია მირზა მოთელა. ეს მათი მესამე საწლევანდლო შეხლა გახლდათ და, თუ გახსოვთ, უიმბლდონობის პირველ წრეში ჰაიდარაბადელმა გვრიტმა მარათონულ სამსეტიანში რომ იმარჯვა, ხსენებული ცინცინატობის მეოთხედფინალში მორიგამიმ რევანშის ალება შეძლო.

ხოლო რაკიღა სიტყვამ ცინცინატობა მოიტანა, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ იმ ტურნირის ფინალში მორიგამის მძლეველი პატი შნიდერი გამოცდილ ფრანჩესკა სკიავონესთან გადატანილი ორსაათიანი განდაგანის შედეგად წლეულს თავის მე-12 მეოთხედფინალში გაიჭრა. ამით თავისი კარიერის ერთ-ერთ პიკზე მყოფმა 26 წლის შვეიცარიელმა სეზონში 14 მარცხის საპრიწონედ) უკვე 42 გამარჯვება დაიგროვა და ამ მაჩვენებლით სეზონის აქამომდელ ლიდერ მარია შარაპოვას გადაუსწრო.

**LEGG MASON TENNIS CLASSIC**
**ვაშინგტონი. მაგარსაფარი**
**საპრიზო 575 ათასი $**

**მესამე წრე**

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — ხუან იგნასიო ჩელა (14, არგენტინა) 6:4 6:7 (4:7) 6:4; **ტომაშ ბერდიხი** (ჩეხეთი) — სებასტიან გროჟანი (8, საფრანგეთი) 7:5 6:2; **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — გრეგ რუზეცკი (11, ბრიტანეთი) 7:6 (7:4) 6:2; **პარადორნ შრიჩაფანი** (13, ტაილანდი) — უესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) 6:3 7:6 (7:1); **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — ტომაშ ზიბი (16, ჩეხეთი) 6:3 6:3; **ლუის ორნა** (პერუ) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4 7:6 (10:8); **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) 4:6 6:3 6:4

**სანჰოსეობის**, ჰიუსტონობისა და ქუინზკლაბობის შემდეგ თავის მეოთხე საამსეზონო ტიტულზე მონადირე ენდი როდიკს იმ დღეს სამი სეტი დასჭირდა საიმისოდ, რათა ისე-რა არგენტინელ ხუან იგნასიო ჩელას გასცილებოდა.

იმის მიუხედავად, რომ თავის პირველ მოწოდებაზე გათამაშებათა 85 პროცენტი მოიგო, ეს დასტურ არ გახლდათ ენდიბოის საუკეთესო თამაში. რომ არა ჩელას მიერ დაშვებული ცხრა ორმაგი შეცდომა, ვინ იცის, რაღაც-რაღაცები ეგებ ოდნავ სხვაგვარადაც მომხდარიყო. თუმცა — როგორც ეს არა ერთხელ აღგვინიშნავს კიდეც — ისტორია კავშირებით კილოს და ბებიას-რომ-რამე-ჰქონოდა დამოკიდებულებას ვერ იტანს და ყველაფერს სწორედ ის წყვეტს, თხრობით კილოში ვინ, რა და როგორ გააკეთა.

ჰოდა, ამ თვალსაზრისით იმ დღეს კორტზე უკეთესი მაინც როდიკი იყო და სწორედ ამის გამო გუშინ გვიანღამ უახმახეს ხორვატ ივო კარლოვიჩს ვინაც კორტის დონიდან ორ მეტრსა და რვა სანტიმეტრს აითვლის), სწორედ ის უნდა რკენოდა და არა — ჩელა.

აქამდე ამქრის უსწრაფესად მომწოდებელი ენდიბოი და უმძლავრესად, თითქოს მეორე სართულიდან მოგლაჯუნე კარლოვიჩი ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ, ქუინზკლაბობის ფინალში დაჯახებიან და, ეგებ გახსოვდეთ, იანკიმ მაშინ მხოლოდ აიდოსტებზე — 7:6 9:7) 7:6 7:4) მოიგო...

იმ დღეს კარლოვიჩმა თავის მხრივ ასევე უზორბესად მომწოდებელ ვეტერან ბრიტანელ გრეგ რუზეცკის გადაუჯოკრა, თანაც ისე, რომ მატჩისას 14 ეისი დააგროვა და სატურნირო ეისმონაგარი 60-მდე დაიმრგვალა.

სადღაც 15-მდე ეისა მესამე წრეში სამხრეთაფრიკელმა უესლი მუდიმაც, მაგრამ პიტალო ტაილანდელ პარადორნ შრიჩაფანის გასაიმასქნებლად ოდენ ეს საკმარისი არ გამოდგა. პარადორნმა, ვისაც წინა დღეს ფაღარათი და სატალი სტანჯავდა, ტკივილსაც გაუმკლავდა, მეტოქის პასრ მოწოდებასაც და კიდევ ერთხელ ცხადყო, ყველაზე კარგად სწორედ ჩრდილოამერიკულ მაგარსაფარზე თამაში რომ ჩოგანეწიფება.

სხვათაშორის — ტურნირის შარშანდელი ლუქსემბურგელი ფინალისტი ჟილ მიულერი რომ ბრახიბრუხობდა, არნო კლემანის არ მეშინიაო, ყველაფერი პირუკუ მოუტრიალდა, გამოცდილმა ფრანგმა არც ტრაბახი შეარჩინა და არც მოგებული პირველი სეტი. ველარ ივარგა ვერც სა-ამ-აშშ-ის-ღია-პირველობო სამზადისის აქამომდელმა ლიდერმა, ინდიანაპოლისობის ჩემპიონმა და ლოსანჯელესობის მეოთხედფინალისტმა რობი ჯინეპრიმ, ვისაც შანსი ჰქონდა, პერუელი ლუის ორნას ძლევით თავის ზედიზედ მესამე მეოთხედფინალში გასულიყო. მაგრამ [illegible] — ჰ ორნა იმ დღეს [illegible] იყო და 2002 წლის ფინალში ნაჩოგნავებ შრიჩაფანთან თამაშის უფლება რომ მოიპოვა — ჰალალ მისი!

**IDEA PROKOM OPEN**
**სოპოტი. თიხნარი**
**საპრიზო 404 ათასი €**

**მეორე წრე**

**პოტიტო სტარაჩე** (იტალია) — კარლოს მოია (4, ესპანეთი) 2:6 7:6 (7:0) 7:5; **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — ფილიპო ვოლანდრი (5, იტალია) 6:3 7:5; **ხოსე აკასუსო** (6, არგენტინა) — ადამ ჩადაი (პოლონეთი) 6:3 6:4; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 3:6 6:4 7:6 (8:6)

**იტალიელმა** პოტიტო სტარაჩემ განთესილი მეტოქე წლეულს სულ რაღაც მესამედ დაამარცხა. ვინძლო, არც გაგიკვირდეთ, მაგრამ ამ სამიდან ორჯერ მან კარლოს მოიას მოუგო.

დახვეწილი და ტიტულოვანი მალიორკელი უსახელო იტალიელს სოპოტამდე რომაული მასტერსობის პირველ წრეშიც შემოეჩოგნა. ჰოდა, ახლა რომ ყველა მისგან რევანშის ალებას მოელოდა, პირუკუ კი მოხდა — წინა კვირაში უმაგურ ფინალამდე მიწევნილი მოია სტარაჩეს სამი სეტი მხოლოდ იმიტომ იბუქნავა, რომ კიდევ ერთხელ გაბითურებულს ჩოგანი ვარამიანად დაეშალითებინა...

გუშლამ იტალიელს ტურნირის 2002 წლის ჩემპიონ ხოსე აკასუსოსთან უნდა ეპაექრა, ვინაც თავის მხრივ პოლონელ კვალიფიკანტ ადამ ჩადაის გასცდა 85-წუთიანი კეჭნაობის მერე.

22 წლის აკასუსოს სოპოტში 12 მატჩი გაუმართავს და მხოლოდ ერთხელ დამარცხებულა. ეგებ გახსოვდეთ, შარშანდელ ფინალში მან რაფაელ ნადალთან დათმო 3:6 4:6. ისე კი, საუკეთესო საამსეზონო შედეგებად ის ზანკტპიოლტენურ და ბუენოსაირესულ ნახევარფინალებში გასვლას დაიკვეხს.



სესილი კარატანჩევა



# თავისუფლად დაწყებულს ბერძენ-რომაელები დაასრულებენ

**პოლონეთის** ქალაქ ვროცლავში დიდი საჭიდაო კვირეული სრულდება. თავისუფალი სტილის ახალგაზრდა ქართველ მოჭიდავეთათვის ევროპის ჩემპიონატი მოსავლიანი გამოდგა. რვა მოჭიდავიდან ოთხმა ფინალს უწია და ორმა ოქროს მედალი მოიგო. ეს 3-4 აგვისტოს იყო. გუშინ და გუშინწინ ხალიჩაზე ქალები შეუშვეს. დღეიდან კი ბერძენ-რომაელი კაცები იწყებენ.

ვლადიმერ ადეიშვილის სამწყსო პოლონეთში ევროპის მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩავიდა. ბუნებრივია, ამჯერადაც ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევა, თუმც შარშანდელი მიღწევის გამეორება ალბათ გაუძნელდება. ახლახან მსოფლიოს ჩემპიონატიდან ოდენ ერთი ვერცხლი ჩამოიტანა და მწვრთნელთა საბჭომ ლიტკამოვლილი შემადგენლობა ლამის მთლიანად გადაახალისა.

საპოლონეთე შემადგენლობაშიც არიან ისეთები, რომელთაც საერთაშორისო არენაზე ადრეც გამოუჩენიათ თავი, თუმც უმეტესობას ამ დონის ტურნირზე აქამდე არასოდეს უჭიდავია. რვავე წონითი კატეგორიის ჩემპიონ-პრიზიორების ვინაობა ხვალ სალამოსთვის იქნება ცნობილი, დღეს სალამოს კი ევროპირველობა ეკვატორს უწევს. საჭიდაოდ 55, 66 84 და 120 კილოგრამიანი სპორტსმენები გავლენ. საქართველოს ნაკრების ღირსებას გიორგი გვენეტაძე (55 კგ), მარად სურმანიძე (66), აკაკი ჯოხაძე (84 კგ) და ოთარ ბოლქვაძე (120 კგ) დაიცავენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**ევროპის ჩემპიონატი**
**ვროცლავი. 2-7 აგვისტო**
**საქართველოს ნაკრები**
ბერძნულ-რომაული

| | |
|---|---|
| 50 კგ | ლაშა გოგიტიძე |
| 55 კგ | გიორგი გვენეტაძე |
| 60 კგ | ზვიად აბულაძე |
| 66 კგ | მარად სურმანიძე |
| 74 კგ | შმაგი სალთხუციშვილი |
| 84 კგ | აკაკი ჯოხაძე |
| 96 კგ | გურამ ფერსელაძე |
| 120 კგ | ოთარ ბოლქვაძე |

# მილიონები და მცველები

## ჰოკეიში ღარიბები აღარ დარჩნენ...

**ჩრდილოეთ ამერიკა გაოგნებულია. ასეთი რამ ჰოკეის ძირძველ ქომაგებსაც არ ახსოვთ. თვით „დედლაინების“ დროსაც კი, როდესაც თასისთვის მებრძოლი გუნდები ცდილობენ, შემადგენლობა სუსტების ხარჯზე გაიძლიერონ, ასეთი რაოდენობისა და, რაც მთავარია, მასშტაბის ტრეიდები დიდი იშვიათობაა. თანაც ყველაფერი დროის ესოდენ მცირე მონაკვეთში მოხდა. ხუმრობა ხომ არაა, რაღაც 24 საათში ლამის 50 ჰოკეისტის მომავალი გაირკვა, თანაც აქედან ნახევარი თუ ვარსკვლავი არა, გამოჩენილი მოთამაშე მაინცაა, ხოლო ათამდე ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე პირველი კლასის ჰოკეისტია, რაზეც მათი კონტრაქტების თანხებიც ადასტურებს.**

**ჩანს**, კლუბების გენერალური მენეჯერები აშკარად ეშმაკობდნენ, როდესაც გვარწმუნებდნენ, არ ვიცით, როგორ ვიმუშაოთ ახალი ეკონომიკური სისტემის პირობებშიო. 2 და 3 აგვისტოს მოვლენებმა ნათლად გვაჩვენა, რომ მათ ყველაფერი უკვე აწონილ-დაწონილი ჰქონიათ და მხოლოდ თავისუფალი აგენტების ბაზრის გახსნას ელოდნენ...

პეტერ ფორსბერგით დავიწყოთ: შვედმა სუპერფორვარდმა, რომელმაც აქამდე მთელი თავისი ნჰლ-ური კარიერა „კოლორადოში“ გაატარა და თითქოს დენვერისაგან განუყოფლად მიგვაჩნდა, მაინც შეიცვალა ადგილსამყოფელი. ბედის ირონიით, ის იმ გუნდში აღმოჩნდა, რომელშიც წესით და რიგით უნდა დაეწყო თავისი ოკეანგაღმური კარიერა. მოგეხსენებათ, 1991 წლის დრაფტზე შვედი „ფილადელფიამ“ აიყვანა, მაგრამ შემდეგ მოხდა ლიგის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გაცვლა. ერიკ ლინდროსი, რომელსაც „კვებეკში“ (მოგვიანებით „კოლორადო“) თამაში არ სურდა, დიდი გაცვლის შემდეგ „ფილადელფიაში“ გადაბარგდა, ხოლო მათ შორის, ვინც უკუმიმართულებით გაემგზავრა, ფორსბერგიც იყო. მკითხველმა კარგად იცის, რომ ლინდროსმა მაინცდამაინც ვერაფერს მიაღწია „ფილადელფიაში“ (ყოველ შემთხვევაში იმას, რასაც ელოდნენ), აი, ფორსბერგი კი ლიგის მშვენებად იქცა და ორჯერ თასის მოპოვებაც შეძლო. ახლა ლინდროსი აღარაა „მფრინავთა“ რიგებში, სამაგიეროდ, ამიერიდან იქ ითამაშებს ფორსბერგი.

საინტერესოა, რომ შვედი „ფილადელფიას“ არცთუ ისე დიდ ფასად დაუჯდა. ფორსბერგი ორ წელიწადში 11,5 მილიონს მიიღებს, თუმც ეს გაცილებით მეტია იმაზე, რასაც მას „კოლორადო“ სთავაზობდა — 13,5 მილიონი 4 წლის განმავლობაში (და ეს მაშინ, როცა მანამდე ფორსბერგი ლიგის ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე იყო 11 მილიონიანი ჯამაგირით).

ფორსბერგის გადასვლამ პრაქტიკულად გადაწყვიტა „მფრინავთა“ ლიდერ ჯერემი რენიკის ბედი, რომელიც, როგორც ჩანს, სხვა გუნდში გადავა, მით უმეტეს, რომ ამის მსურველიც გაჩნდა „ლოს ანჯელესის“ სახით. „ფორსბერგთან ერთად „ფილადელფია“ უფრო კარგი გუნდი იქნება, ვიდრე ჩემთან“ — იხუმრა კიდევაც რენიკმა. ვნახოთ, რას შეჰმატებს „მფრინავებს“ შვედი სუპერვარსკვლავი, გუნდს ხომ 29 წელია, თასი არ მოუგია.

როგორც ვარაუდობდნენ, ყველაზე დიდი მოთხოვნილება წლეულს მცველებზეა და ოთხშაბათს გუნდი ერთბაშად ხუთმა სუპერმცველმა გამოიცვალა. თავიდან კრის პრონგერის ბედი გადაწყდა. „სენტ ლუისის“ მრავალწლიანი ლიდერი ბევრისთვის მოულოდნელად „ედმონტონში“ აღმოჩნდა, რომელმაც საამისოდ გაცილებით ახალგაზრდა ერიკ ბრიუერი არ დაიშურა. თანაც კანადურმა კლუბმა 5 წლიანი და 31,25 მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა ახალშეძენილ ვარსკვლავთან. აქ ნიშანდობლივია როგორც ხელშეკრულების ხანგრძლივობა, ასევე ის, რომ სწორედ არცთუ მდიდარი კანადური კლუბი აქტიურობდა. თუმც, როგორც ამ დღეების მოვლენებმა დაადასტურა, ახალმა ეკონომიკურმა სისტემამ უკვე გამოიღო შედეგი. თუ აქამდე პრონგერი და მისი დარი მოთამაშეები მხოლოდ მდიდარი გუნდებისათვის იყო ხელმისაწვდომი, ახლა თითქმის ყველა ერთნაირ პირობებში აღმოჩნდა და ღარიბ კანადურ კლუბებსაც შესაძლებლობები გაეზარდათ.

შემდეგი აღმოჩნდა ბრაიან ლიჩი.



პეტერ ფორსბერგი

ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი მცველი თავის სამშობლოში დაბრუნდა. ბოსტონთან ახლოს დაბადებულმა 37 წლის ჰოკეისტმა „დათვებთან“ ერთწლიანი და 4-მილიონიანი ხელშეკრულება გააფორმა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მიუხედავად ასაკისა, კვლავაც სასურველ მოთამაშედ რჩება ამბიციური გუნდებისათვის.

ლიჩის მისვლამ გადაწყვიტა სერგეი გონჩარის ბედი. სწორედ რუსი ითვლებოდა აქამდე „ბოსტონის“ წამყვან მცველად და უნდა ითქვას, რომ მას არც გასჭირვებია კლუბის მოძებნა. ბევრისთვის მოულოდნელად, გონჩარი „პიტსბურგმა“ შეიძინა. როგორც ჩანს, ამ სეზონში ლემიეს და კროსბის გუნდს დიდი გეგმები აქვს. „პინგვინებიც“ აშკარად გამოცოცხლდნენ ახალ ეკონომიკურ პირობებში და გონჩარის 5-წლიანი და 25-მილიონიანი კონტრაქტი ამის დასტურია.

მცველთა დიდი გადაადგილების სურათს ადრიან ოკუანის და ადამ ფუტის ტრეიდები ავსებს. ბოლო წლებში ერთ-ერთმა ყველაზე შედეგიანმა მცველმა, ოკუანმა, „აილენდერსი“ „ჩიკაგოზე“ გაცვალა, რის გამოც 4-წლიანი და 16-მილიონიანი კონტრაქტით დასაჩუქრდა. „კოლორადოს“ დაცვის მრავალწლიანი საყრდენი ფუტი კი „კოლუმბუსში“ აღმოჩნდა და ასევე საკმაოდ ხელსაყრელი ხელშეკრულება გააფორმა (3 წელი, 13,5 მილიონი).

ვიდრე ცხრილს შემოგთავაზებდეთ, კიდევ რამდენიმე სახელოვან მოთამაშეზე მოგახსენებთ, რომლებმაც მოახერხეს თავიანთ ძველ კლუბებთან ურთიერთობის გახანგრძლივება. პირველ ყოვლისა, ჯაროუმ იგინლაზე უნდა ვთქვათ, რომელმაც „კალგარიში“ დარჩენა ამჯობინა, რაც ასევე ახალი ეკონომიკური სისტემის დამსახურებაა. წინა წლებში ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლეს რომელიმე ბობოლა გუნდი აუცილებლად გადაიბირებდა, ახლა კი „კალგარისაც“ გაუჩნდა შესაძლებლობები. „კალგარის“. კაპიტანმა და სულისჩამდგმელმა კიდევ სამი წლით გაახანგრძლივა თავისი კარიერა კანადურ კლუბში და წელიწადში 7 მილიონიანი ჯამაგირით ლიგაში ყველაზე ძვირადღირებულ მოთამაშეთა სიაში მე-5 ადგილზე აღზევდა. წინ მხოლოდ იაგრი, ტკაჩუკი, ლიდსტრიომი და იაშინი არიან.

თავის ძველ გუნდთან პრაქტიკულად ისეთივე ხელსაყრელი კონტრაქტი გააფორმა მარკუს ნესლუნდმა. ბოლო სამი სეზონის განმავლობაში ლიგის ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი ფორვარდი ასევე 3 წლით დარჩა „ვანკუვერში“ და მისი ჯამური მოგება 18 მილიონს შეადგენს.

ყველაზე დიდხანს კი მაიკ მოდანო ფიქრობდა. მთელი ნჰლ-ური კარიერის განმავლობაში მისმა ერთადერთმა გუნდმა „დალასმა“ კარგა ხანია, ფორვარდს ხანგრძლივი კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ ემერიკელი მოდანო სხვა გუნდებისგან უფრო სასურველ წინადადებას ელოდა. ეს არ გამოუვიდა და თავიდან უარის შემდეგ იგი მაინც დაყაბულდა ახალ პირობებზე, თან 5 წლით (17,25 მლნ), ანუ ალბათ უკვე კარიერის ბოლომდე დალასელი იქნება.

აი, „დეტროიტის“ სიმბოლო სტივ აიზერმანს სულაც არ ადარდებს კონტრაქტის ციფრები, მთავარია, კიდევ ითამაშოს საყვარელ გუნდში. „წითელფრთიანთა“ მრავალწლიანი კაპიტანი თავის 22-ე სეზონს მშობლიურ კლუბში ჩაატარებს და საამისოდ დაახლოებით 2 მილიონს მიიღებს.

...ახლა უკვე თვალნათლივ გამოჩნდა, რომ გერი ბეტმენის ახალი ეკონომიკური სისტემა ჯანსაღი და გამართლებულია. მარტო ის რად ღირს, რომ ახლა თითქმის ყველა გუნდი ერთნაირ პირობებში აღმოჩნდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ უსუსური და უძლური გუნდები ლიგაში აღარ იქნებიან და თავის ბედს ყველა თავად გამოჭედს.

**სამველ ღარიბიანი**




მაიკ მოდანო

| მოთამაშე (ამპლუა) | ძველი კლუბი | ახალი კლუბი | ვადა | თანხა |
|---|---|---|---|---|
| დერიან ჰეჩერი (მც) | დეტროიტი | ფილადელფია | 4 წელი | — |
| მაიკ პეკა (ფორ) | აილენდერსი | ედმონტონი | — | — |
| მიროსლავ შატანი (ფორ) | ბუფალო | აილენდერსი | 3 წელი | |
| ალექსეი ჟიტნიკი (მც) | ბუფალო | აილენდერსი | 4 წელი | — |
| ტონი ამონტე (ფორ) | ფილადელფია | კალგარი | 2 წელი | 3,7 მლნ. |
| მარტინ სკოულა (მც) | კოლორადო | დალასი | 2 წელი | — |
| მეტიუ შნაიდერი (მც) | დეტროიტი | დეტროიტი | 2 წელი | 6,6 მლნ. |
| პიერ ტარჯონი (ფორ) | დალასი | კოლორადო | 2 წელი | 5 მლნ. |
| პიერ ბრისბუა (მც) | მონრეალი | კოლორადო | 2 წელი | 4,5 მლნ. |
| ალექს კოვალიოვი (ფორ) | მონრეალი | მონრეალი | 4 წელი | 18 მლნ. |
| მაიკ რატიე (მც) | სან ხოსე | ფილადელფია | 5 წელი | — |
| ბრაიან ბერარდი (მც) | ჩიკაგო | კოლუმბუსი | 2 წელი | 4,5 მლნ. |
| მარტინ რუჩინსკი (ფორ) | ვანკუვერი | რეინჯერსი | — | — |
| მარტინ სტრაკა (ფორ) | ლოს ანჯელესი | რეინჯერსი | — | — |
| ბობი ჰოლიკი (ფორ) | რეინჯერსი | ატლანტა | 3 წელი | 12,75 მლნ. |
| პავოლ დემიტრა (ფორ) | სენტ ლუისი | ლოს ანჯელესი | 3 წელი | 13,5 მლნ. |
| კორი სტილმანი (ფორ) | ტამპა | კაროლინა | 3 წელი | — |

# ფრისლანდური სკუცესილენი

ასეთი ნავები მხოლოდ ფრისებს ჰყავთ და მას „სკუცესილენი“ ჰქვია. ფრისები ძირითადად დანიაში სახლობენ, მაგრამ ჩრდილო ჰოლანდიაშიც მრავლად არიან და იქ პროვინციაც კი არსებობს სახელად ფრისლანდი. სკუცესილენებით შეჯიბრი კი გვარიანად პოპულარული ამბავია ჰოლანდიაში და ყოველი აგვისტოს დასაწყისში ფრისლანდში ათასობით ადამიანი იკრიბება ამ წყალ-ჯომარდობის სანახავად.



AFP ფრისლანდიიდან



AFP მალმიოდან

# ნატალის მზერა

თუ დარტყმა არ გამოუვიდა, ამერიკელ ნატალი გულბისს ენის ცმაცუნი და მიმინოს მზერა არ უშველის — ბურთულა მაინც ასცდება საგოლფე ფოსოს. ნატალი სკანდინავიურ ტურში ჩაბმულა, რომელიც ჩრდილო შვედეთში, მალმოის შემოგარენში გახურებულა.

# ავტოგრაფები ჩქარა!

„ატლანტა ფალკონსის“ მოთამაშე ტი ჯეი დუკეტს კეტის ქნევასთან ერთად კალმის ხმარებაც სცოდნია. ის დაუზარებლად ურიგებს ავტოგრაფებს ბეისბოლის იაპონელ ფანებს ტოკიოს „დოუმის“ სტადიონზე. „ფალკონსი“ სეზონისწინა სამზადისშია და ტოკიოში ინდიანაპოლისურ „კოლტსს“ უნდა ესპარინგოს.



AFP ტოკიოდან

# კეტისმტვრეველი

„ტეხას რეინჯერსის“ დამრტყმელ ალფონსო როსიანოს ისე მოუქნევია კეტი, რომ ეს უკანასკნელი ვადაში გადამტყდარა და ბურთთან ერთად გზაამნეული მიფრინავს. თამაში ამხანაგური და „რეინჯერთა“ მეტოქე ტამპა ბეის „დევილ რეისი“ გახლავთ.



AFP არლინგტონიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნარიმაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიციძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუხიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge